# სახალხო გაზეთი

№ 808 კვირა, 27 იანვარი 1913 № 808

**განცხადების ფასი.** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ნოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ. „ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

გამოვიდა გასასყიდად ახალი

პაპიროსები „მაიაკ" კომეტას ამხ-სა.

25 ც.—15 კ.—10 ც. 6 კ. ქ. ტფილისი. 1574.

**ამ ნომერში ექვსი გვერდია.**

**სახალხო გაზეთი** ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

**სურათებიანი დამატება** (კვირაობით)

**პრემიად** 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**

1) უცხოეთის მწერლები (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—**კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.

2) ქართველი ერის ისტორია, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წლიწადში **8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

**ათი შაური** უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიათ გადაიხადონ. **ნაწილობით** მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:**

1) „სახალხო გაზეთი"-ს კანტორაში, (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).

2) ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.

3) ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოება აცხადებს, რომ დღეს, 27 იანვარს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დანიშნულია ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

**პროფესორ ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილის**

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 9½ საათზე, პანაშვიდი 1-ლ საათზე. 1039

ანასტასია მიხეილის ასული წერეთლისა, თავ. გიორგი და კონსტანტინე მიხეილის ძენი თუმანიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ მათი განსვენებული ძმის

**თ. ვასილ მიხეილის ძე თუმანიშვილის**

გარდაცვალების წლის თავზე დანიშნულია წირვა და პანაშვიდი კვირას, 27 იანვარს, მოლნინის წმ. გიორგის ეკლესიაში (აბას-აბათის მოედანთან). წირვა დაიწყება დილის 10½ საათზე და პანაშვიდი 12 ს. პანაშვიდის შემდეგ ხოჯივანქის სასაფლაოზე აკურთხებენ განსვენებულის ძეგლს. 73

**სოლომონ პეტრეს ძე თამარაშვილი** აუწყებს პატივისმცემელთ რომ განსვენებულ ძმის **ისტორიკოსის მღვდელ**

**მიქელ თამარაშვილის**

წლიური წირვა და პანაშვიდი შესრულდება ტფილისის რომის-კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში ამ თვის 28-ას დილის 11 საათზე. 72.

26 იანვარს გარდაიცვალა ჩვენთვის საყვარელი და დაუვიწყარი

**ნინო პავლეს ასული რომანკევიჩისა,**

რასაც გულითადის მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთა და ნაცნობთ: **დედა ეკატერინე ბესარიონის ასული, დები მარიამ მამამთავრიშვილისა, მართა, სოფიო და ძმა გიორგი ივანოვები.**

პანაშვიდები საღამოს 6 საათზე, ჰავჰავაძის ქუჩა, ლესნოი მისახვევი № 33. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 71.

**კნ. ნინო კონსტანტინე ერისთავის ასული, გიორგი ოთარის ძე და კონსტანტინე გიორგის ძე თავადი ამილახორები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველისა—საყვარელი დედა, მეორისა—სიდედრი, ხოლო მესამისა. დიდედა

**კნ. ნატალია ალმასხან ნიჟარაძის ასული ერისთავისა**

დაკრძალვა დანიშნულია ოთხშაბათს, 30 იანვარს, დაბა **საჩხერეში** დილის ათ საათზე. 74.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდ. № 46.

**ს ა ლ ა მ ო**

**ავქსენტი ცაგარლის სახსოვრად**

**კვირას, 27 იანვ.,** ქართ. დრ. საზ. დასის მიერ

**ავქსენტი ცაგარლის** გარდაცვალებიდან 10 წლის თავის აღსანიშნავად

გაიმართება **სადღესასწაულო საღამო**

სამს განყოფილებად: ბ-ნი კ. ი. ანდრონიკაშვილი წაიკითხავს **რეფერატს,**

2) წარმ. იქნება: **რაც გინახავს, ველარ ნახავ,** კომ. 3 მ. **ა. ცაგარლისა.**

3) **მ ა თ ი კ ო,** მე-3-ე მოქ. **ა. ცაგარლის** კომედიიდან.

4) **აპოთეოზი ცოცხალი ტიპებისა ა. ცაგარლის** თხზულებიდან.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: აბაშიძე, გოგოლაშვილი, დავითაშვილი, ლოლუა, ქიქოძე, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: აბაშიძე, აბდუშელი, ალექსიძე, ბერიშვილი, გამყრელიძე, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მესხი, მატარაძე, ქუთიძე, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი, შანშიაშვილი.

**დასაწყ. საღ. 8 ს.** ადგილებ. ფასი ჩვეულებრივია:

რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.** ქართ. დრ. საზ. ადმინისტრ.

**ანონსი:** ხუთშ., 31 იან., **ტასო აბაშიძის** საბენეფისოდ წარმ. იქნება ცნობილი პიესა „კეისარი და კლეოპატრა". 1013

**ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი**

**სამშაბათს, 29 იანვარს,**

**ს ა ო ჯ ა ხ ო ს ა ღ ა მ ო**

თეატრის სცენაზე წარმოდგ. იქნება **ვას. ალ. აბაშიძის მონაწილეობით „რაც გინახავს, ველარ ნახავ"** კომ. 3 მოქმედ. ა. ცაგარლისა.

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: აბაშიძე, გოგოლაშვილი, ლოლუა, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი; ბ-ნნი: აბაშიძე, აბდუშელი, ალექსიძე, ბერიშვილი, გამყრელიძე, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მესხი, მატარაძე, ქუთიძე, ციციშვილი. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. თეატრში შესვლა უფასოდ,—კლუბში: კაცები—1 მ., ქალები—50 კ., სტუდენტ.—25 კ. 1017

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ძველი ბაზ ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მუხრანის სახიდოს ახლო.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებით სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **მანსვეტაშვილი გ. ნ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.) **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირაღოვი რ. პ.** (ყოველ დღე) 12—1. **ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) 11½ 12½. |
| ქალთა და სამშობიარო სნეულებანი. | **ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირაღოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **თიკანაძე ა. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ხულხაჩოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. და ელექტ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს. |
| ყურ. ყელ. და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენ. | **დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათა შანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" „914" და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შესაფერი საფასურით. წ. 1035

— გამოსულია და იყიდება —

**ნ. შიუკაშვილის**

პიესა **„მეგობრობა"**, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა,** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტ უ ბ ე რ კ უ ლ ი ნ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით, ილებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **ხოლოდილნა,** ბებუთოვის ქ., № 23 (განთვის ქ. კუთხე). **ტელეფ. 7—93.** 847

**ქარხნის მარკა**

**კონიაკი და ლიქორი ს. ს. შამრიარსკისა**

ტფილ. სი ელისაბედის ქუჩა № 166. 1570

**მიიღება ხელის მოწერა 1913 წ.**

**ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ „ნ ა კ ა დ უ ლ"-ზე.**

**წელიწადი მეცხრე.**

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ო რ ი გ ა მ ო ც ე მ ა:**

**მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი**

**მოზრდილთათვის . . 12 წიგნი**

ღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მ., საზღვარ-გარედ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ **ს ა ჩ უ ქ რ ა დ ამერიკელ მწერალ ქალის პარიეტ ბიჩარ სტოუს რომანს ზანგთა განთავისუფლების დროიდან ✦ „ბიძია თომას ქოხი", ✦** სრულ თარგმანს. წიგნში იქნება 80-ზე მეტი სურათი და ჩართული ექნება ავტორის სურათი და ბიოგრაფია. თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკისრა **ილია ნაკაშიძემ.** ჟურნალი „ნაკადული" მცირე წლოვან და მოზრდილ. 1910 წ. ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად. **ხელის მოწერა** შეიძლება **ტფილისში**—„ნაკადულის" რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინის პრ. 8, და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, სასახლის ქუჩა.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი **თ-დ პავლე თუმანიშვილი.**

**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის**

თანამდებობის აღმასრულებელი სთხოვს გუბერნიის თავად-აზნაურთ,

**მ ო ბ რ ძ ა ნ დ ნ ე ნ**

**თავად-აზნაურთა საგუბერნიო საგანგებო კრებაზე,**

რომელიც დანიშნულია **კვირას, 3 თებერვალს,** შუადღის 12 საათზე, სათავად-აზნაურო **თეატრის დარბაზში.**

კრებამ უნდა განიხილოს მოხსენება, თუ რაოდენი თანხა გადაიდოს თავად-აზნაურთა გუბერნიის წინამძღოლის განკარგულებაში წარმომადგენლობისათვის. 1031

**საგურთალოზე**

**მშვენიერ ალაგას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის ახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. დან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი გადასახადი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

**ელექტრონისა და რენტგენის ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო**

**მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., **გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით.** ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი,** **ორდინატორად ნამყოფი** კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს 5—6 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12.

**იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 67

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. **არ იღებს.** მოსკოვის ქუჩა № 3, ს. გაბაშვილისა.

**სამკურნალო**

**სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა**

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ახპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10 ½ ს.

**აბულაძიანი** შინაგან სნეულ. საბავშ. ყოველ დღე საღამოს 3—4 ს.

**ბოგოვსკი.** შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხშაბ. პარასკებ. საღამ. 4—5 ს.

**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს,

**კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ.—3 ს.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 1½—12½.

**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

**ვეხელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.

**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ 11—12 საათ.

**ბაგდოევისა,** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.

**შამაშო,** ქირურგ. ავადმყ. ყ.-დღ., კვ. გარდა 1½ 2½ ს.

**გ. ნ. გეინაცი**—თვალის ავადმყ. ორშაბ., ოთხშ., პარასკ. ს დ. 4—5 ს.

**ა. ა ხოდნევი**—თვალ. ავად. სამშ, ხუთშ., შაბ., კვ., საღ. 4—5 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ, 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. 386.

**ექიმი ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **გახსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელიაზბეგ**. ქ., № 9, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებათ** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. [illegible] 1. № 6.

# ტფილისი, 27 იანვარი.

**ქალთა ვექილობა და სახელმწიფო საბჭო.**

როგორც ეტყობა, სახელმწიფო საბჭოს აზრადა აქვს იმავ გზით იაროს, რომლითაც მისი წინაპარი მიდიოდა. იგი თავის მძიმე ხელს ადებს ყველა სათათბიროს მიერ მიღებულ კანონ-პროექტს, რომელსაც ცოტაოდენი ლიბერალური ელფერი მაინც გადაჰკრავს. ქალთა ვექილობის კანონ-პროექტზე მოგახსენებთ. დიდი ხანია საჭირო გაჩნდა, რომ ქალებს, რომლებმაც იურიდიული განათლება მიიღეს, პრაქტიკული მოქმედების ასპარეზი მიენიჭოს. ეს არც ქალთა ემანსიპაციაა, რომლისაც ისე ძალიან ეშინიანთ რუსეთის კონსერვატორებს, არც პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნა. ამ უფლების მინიჭებას უბრალო სამართლიანობა და პრაქტიკული საჭიროება მოითხოვს. იყო დრო, როდესაც ქალებს ექიმობას უკრძალავდნენ. ქალთა ექიმობის წინააღმდეგ კონსერვატორები ისეთსავე საბუთებს აყენებდნენ, რანაირსაც დღეს ქალთა ვექილობის წინააღმდეგ აყენებს იუსტიციის მინისტრი შჩეგლოვიტოვი. ქალის დანიშნულება ოჯახია, ქალის ბუნებრივ მორცხვობას ვექილობა და ექიმობა არ შეეფერებაო. ასეთი იყო კონსერვატორების საბუთები, მაგრამ ულმობელმა სინამდვილემ მათი ნილაბ ამოფარებული მოსაზრებანი გადააყირავა და ყველა დაარწმუნა, რომ ქალს არამც თუ ექიმობა შეუძლიან, დიდ დახმარებასაც უწევს მკურნალობით უკან ჩამორჩენილ რუსეთის სოფელს. ქალი კარგი ექიმი გამოდგა. რა თქმა უნდა, ასეთივე ბედი ეწვეოდა ქალთა ვექილობასაც. ვინ არ იცის, რანაირ უბედურებასაც განიცდის სოფელი, კეთილ-სინიდისიერ უვექილოთა გამო. თითქმის მთელი სოფელი მაგრადა ჰყავს ხელში ჩაბღუჯული გაიძვერა ცრუ ვექილებს, რომელნიც ცხრა ტყავს აძრობენ გლეხებს. ამისთანა პირობებში გამრავლება სპეციალურ ცოდნით აღჭურვილ ვექილ ქალებისა, რომელნიც ხალხს დაუახლოვდებოდნენ და ცოტად მაინც შეუმსუბუქებდნენ მდგომარეობას, ძალიან სასარგებლო საქმე იქნებოდა. მაგრამ საბჭომ, რომელსაც ყველგან პოლიტიკური საფრთხე ელანდება, ამ სასარგებლო კანონ-პროექტის განხორციელება არ მოისურვა. ყველაზე საინტერესო კანონ-პროექტის მოწინააღმდეგეთა საბუთებია. ქალის დანიშნულება ოჯახიაო, ბრძანებენ ისინი. მერე ვინ არის ამის წინააღმდეგი? ან როგორ შეიძლება ოჯახის ინტერესები მოითხოვდეს ხელფეხის შეკვრას ისეთი ადამიანისას, რომელსაც ოჯახური პირობები სრულს საშუალებას აძლევს ვექილობა გასწიოს და ამით თავი ირჩინოს? ეს ფრიად მოძველებული და ყოვლად უსაფუძვლო არგუმენტია. ცხოვრება გვიმტკიცებს, რომ ქალთა გათანასწორება შემთხვევებში მამაკაცებთან არაფერს ავნებს ოჯახის ინტერესებს. მოწინააღმდეგეთა მეორე საბუთი ხომ პირდაპირ სასაცილო შთაბეჭდილებას ახდენს. სასამართლოს ქალები მოჰხიბლავენო! ეს ხომ ისეთი საბუთია, რომლის წინაშეც ყოველ-გვარი დადებითი მოსაზრება უძლურია. პატივსა ვცემთ კანონ-პროექტის მოწინააღმდეგეთა ესთეტიურ სულიერ განწყობილებას და ამ მართლაც რომ მძლეთა-მძლე არგუმენტს გვერდს აუხვევთ. მაგრამ ესთეტიკას რომ თავი დავანებოთ და უბრალო მომაკვდავთა თვალსაზრისით შევხედოთ საკითხს, არ შეიძლება ეჭვი არ დაგვებადოს. ნუ თუ კანონ-პროექტის მოწინააღმდეგენი ასეთი ცუდი აზრისა არიან მოსამართლეებზე? ძნელი დასაჯერებელია. ჩვენ გვგონია, ძაღლის თავი სულ სხვაგანა მარხია. ზემოდ მოყვანილი საბუთები მხოლოდ დეკორუმია ნამდვილ გულის ზრახვათა დასაფარავად. კანონ-პროექტის მოწინააღმდეგეთ არ უნდოდათ განეხორციელებინათ კანონ-პროექტი, რომელიც კაცობრიობის „მშვენიერ ნახევარს“ ადამიანურ უფლებას ანიჭებს. ეს ხომ ებრაელების მიერ მოგონილი „მასონობა“ იქნებოდა, და „მასონობა“ კი რეაქციის ბურჯს სახელმწიფო საბჭოს სრულიად არ შეეფერება.

# სახელმწიფო სათათბირო

**დეპეშები.**

(დეპეშ. პეტერბ. სააგენტო)

**25 იანვრის სხდომა.**

თ-დმა **ვოლკონსკიმ** განაცხადა: წინა სხდომაზე სიტყვა მივეცი მღ. მიტროცკის. მე მართალი ვიყავი, როცა მის სიტყვის შემდეგ ლაპარაკის ნება მივეცი **კერენსკის**, მაგრამ დამნაშავე ვარ, რომ მღ. მიტროცკი დროზე ვერ შევაჩერე თანახმად ნაკაზის 120 მუხლისა (ტაში).

უკამათოდ მიიღეს რამდენიმე კანონპროექტი.

მინისტრთა ლოჟაში სხედან სახალხო **განათლების მინისტრი და შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგე. როძიანკო თავმჯდომარეობს.**

სათათბირომ უნდა მოისმინოს სახალხო განათლების მინისტრის განმარტება პეტერბურგის საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა დეკემბერში მომხდარ კრებებისა და მოწაფეთა დაპატიმრებასა.

**სახალხ. განათ. მინისტრი.** შედით მშობელთა მდგომარეობაში, რომელთაც მუდამ ელანდებათ კრებების აჩრდილი, რაიც მათ შვილებს უნივერსიტეტში ელის. რა ჰქნას მშობელმა, რომ თავიდან აიცილოს ასეთი კრებები? შვილს უნდა აუკრძალოს კრებაზე დასწრება; მაგრამ ხომ ვიცით, რომ მშობლის გავლენა შვილზე ეხლანდელ დროში ფრიად სუსტია. წინდაწინვე აცნობა გიმნაზიის მთავრობას კრების ამბავი? მაშინ ეტყოდნენ, რომ სალიტერატურო სალამოსთვის ემზადებიან და საზოგადოდ, უკეთესი იქნება თუ იგი გიმნაზიის საქმეებში არ ჩაერევა. პირდაპირ საოლქო სამართველოს ან სამინისტროს მიჰმართონ? ეს არ შეუძლიათ, რადგანაც 9 დეკემბერს კვირა დღე იყო. რასაკვირველია, ის მიჰმართავდა სახელმწიფო უფლების და ძალის ორგანს, რომელმაც არ იცის რა არის, და რომლის შემწეობასაც მიჰმართავს ხოლმე ყველა, როცა კი შინაური ზომა უძლურია დაიცვას ქონება, პიროვნება ან ოჯახი. 9 დეკემბერს პოლიციამ გიმნაზიის შენობაში აღმოაჩინა 34 ახალგაზრდათა კრება, მათში ორი გარეშე პირი იყო, მაგრამ სკოლის ორგანიზაციას ეკუთვნოდნენ. პოლიციამ ორგანიზაციის არსებობის დამამტკიცებელი საბუთები აღმოაჩინა: მოსწავლეთა კავშირის წესდება. ამის გამო პოლიციამ გიმნაზიის შენობაც და იქ მყოფთა ბინებიც გაჩხრიკა. 12 მოსწავლე მაშინათვე განთავისუფლეს გიმნაზიიდან და 22 კი საპოლიციო უბანში გაიგზავნა. ცნობის მიღების შემდეგ კი თანდათან იმათაც ანთავისუფლებდა. მხოლოდ სამი მოზრდილი მოწაფე იყო დატუსაღებული 24 საათს. 11 დეკემბერს ყველა მოსწავლე განთავისუფლებული იყო.

ჩვენების ჩამორთმევის დროს ყველანი გამოტყდა, რომ ორგანიზაცია არსებობდა და წინათაც იკრიბებოდნენ ხოლმე. ერთი მოწაფის ჩვენებით გამოირკვა, რომ ორგანიზაციაში იზიდავდნენ იმ პირობით, რომ ორგანიზაციას თვით განვითარების ხასიათი ექნებაო და შემდეგით ირკვეოდა, რომ ორგანიზაცია მიზნად ისახავდა სასკოლო წესებთან ბრძოლას. აღმოჩენილმა მასალმა სავსებით დაადასტურა ეს ჩვენება; ნაპოვნია პროკლამაცია, სადაც მოუწოდებდნენ ბრძოლას სკოლის და სახელმწიფოს წესწყობილების წინააღმდეგ. დაჭერილია ზოგიერთი ნომრებში მოწაფეთა ყოველკვირეულ ნება დაურთველ გაზეთისა. დღევანდლამდე ყოველ მხრით მოგვდის ამ ხასიათის ცნობები: პოლტავაში აღმოაჩინეს მოსწავლეთა წრე, რომელსაც სახელად ჰქვიან: „სოციალისტ-რევოლიუციონერთა ავტონომიური ჯგუფი“; ოდესაში უფროს კლასელ მოსწავლეთა ნებადაურთველი წრეები აღმოჩნდა. მაშასადამე, მართალი არ არის სათათბიროს წევრის კოვალევსკის მოსაზრება, რომ მთავრობა თვით უწყობს ხელს ბავშვთა დანაშაულობის ჩადენასო. მთავრობა ვერ მოითმენს, რომ საშუალო სასწავლებლებზე იერიში იყოს მიტანილი, იგი ვერ შეიწყნარებს და ვერ ჩასთვლის იმ წესრიგს სასურველად, როდესაც მოსწავლე მასწავლებელს ასწავლის (ნაციონალისტების და მემარჯვენეთა ტაში).

მინისტრს დამტკიცებულად მიაჩნია, რომ მომხდარი ამბავი პოლიციის შეცდომა კი არ არის, არამედ შედეგია დიდი ხნის არსებულ ორგანიზაციისა. რაც შეეხება ვიტმერის გიმნაზიაში შეპყრობილთ, მათ საპედაგოგო საბჭო სამეცადინოდ სასწავლებელში მიიღებს, მეორე ნახევარს კი მიეცემა უფლება წლის ბოლოში ჩააბარონ ეგზამენები ან და გადავიდნენ პეტერბურგის ოლქის სხვა სასწავლებელში. მთავრობას ნორმალურ წესრიგად მიაჩნია ღრმა და მუდმივი ერთსულოვანი მუშაობა მოსწავლეების და მასწავლებლებისა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მივაღწიოთ იმ მიზანს, რისთვისაც არის დაარსებული სასწავლებელი, მთავრობას საჭიროდ მიაჩნია დაიცვას სკოლის ცხოვრება ნება დაურთველ გაზეთებისა, წრეებისა, და კრებიდან, საცა მოსწავლენი მსჯელობენ იმ საკითხებზე, რომლისთვისაც ჯერ არ არიან მომწიფებულნი: (ხმები მარჯვნიდან: „ვაშა“). რაც შეეხება იმას, რომ მხოლოდ მშობელთა წრეს შეუძლიან აღადგინოს წესიერი ცხოვრება, საჭიროა საკითხი სხვანაირად დავაყენოთ: შეუძლიანთ თუ არა მშობელთა კომიტეტებს დაეხმარონ მთავრობას ნებადაურთველ ორგანიზაციებთან ბრძოლაში? ამ მხრივ წარსულის ნაყოფი ფრიად სასურველი არ არის. მისაყვედურებენ, ვითომც მე გავაუქმე მშობელთა კომიტეტები. ეს მართალი არ არის. მშობელთა კომიტეტების მოსპობა შედეგი იყო მათი გულგრილობისა და უმოქმედობისა. რით აიხსნება ეს გულგრილობა? შეიძლება იმითაც რომ თავის შვილს ანდობენ სასწავლებელს. ბევრნი ამბობენ, რომ სკოლასა და მშობელთა შორის მუდმივი შუღლიაო, მაგრამ უკვე ნათლად არის გამორკვეული კავშირი სკოლასა და მცხოვრებთა დ ეს კავშირი მათ თან დ თან ახლოვებს. ადამიანში ყოველთვის იმარჯვებს საღი აზრი, გონიერება. მშობელთა სიყვარულმა, რომელიც იცავს შვილების ინტერესებს, უნდა დაგვარწმუნოს, რომ არა არსებობს განხეთქილება სკოლასა დ ოჯახ შორის, არ არის შუღლი ოჯახსა და სახელმწიფოს შუა.

(ნაციონალისტების და მემარჯვენეთა ტაში. მარცხნივ ხმაურობაა).

**შინგარიოვი.** გიმნაზიის მოწაფეთა ორგანიზაციის დატყვევება სრულიადაც არ იყო საჭირო. საკმარისი იყო ზომების მიღება, რათა თავიდან აეცილებინათ იგი. განათლების სამინისტროს მოქმედებაში არა სჩანს გულთბილი და მოსიყვარულე მოქცევა ბავშვების მიმართ. პოლიციის მიჩნევა ერთად ერთ სანუგეშო და სანდო ძალად მომაწამლებელია სახელმწიფო მცნების შერყვნა, დამახინჯებისა. მინისტრის განცხადება, რომ მთავრობა ნებას არ მისცემს საშუალო სასწავლებლებში პოლიტიკურ ხასიათის კრებების მოხდენას,—მხოლოდ ძლიერი და ფართო „ჟესტია“, რადგანაც ყველა ყოფილა და იქნება კიდეც, სანამ დღევანდელი პირობები არ შეიცვლება. მოლაპარაკე მაგონებს უმაღლეს ბრძანებას, რომელიც მიმართული იყო სახალხო განათლების მინისტრისადმი და ხაზს უსვამს ბრძანების დიდ აზრს; სკოლის უწესრიგობას სახელმწიფოს შერყევა მოჰყვება: სკოლის გაფერთხილება, სახელმწიფოს მთლიანობის დაცვას ჰნიშნავსო.

მოლაპარაკეს არ სჯერა, რომ მინისტრის განმარტება გაერთიანებულ მთავრობის განმარტება იყოს: იგი ფრიად განსხვავდება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეკლარაციისაგან. იგი ეწინააღმდეგება აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს გეგმასაც, სიტყვებს, რომელიც მოუწოდებდა სახელმწიფოს ძალთა განსამტკიცებლად თავისუფლებისაკენ. ჩვენი შვილები—სამშობლოს იმედი და ნუგეშია, ნებას არავის მივცემთ მოჰკლან მათში სული, ვერ შევწირავთ მათ მოხელეთა კარიერის სამსხვერპლოზე. (ხანგრძლივი ტაში ცემა მემარცხენეთა ცენტრში).

**კოვალევსკი.** შეაქვს ოქტომბრისტთა მორიგ საკითხებზე გადასასვლელი ფორმულა, რაც აღნიშნულია, რომ სკოლის ცხოვრებაში პოლიტიკის შეტანა ფრიად დამღუპველად ჰმოქმედობს ახალგაზდობაზე და საზოგადოდ ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობას აფერხებს; საჭიროა თავის დროზე თავიდან აიცილოთ არა-სასურველი მოვლენა და არ უცადოთ იმას, სანამ ესა თუ ის მოვლენა მწვავე ხასიათს არ მიიღებს. მოლაპარაკე ოქტომბრისტთა სახელით ღრმა უკმაყოფილებას აცხადებს მოწაფეთა მიმართ საპედაგოგიო ზომების მაგიერ, პოლიციურ ზომების მიღებაზე. (ტაში).

**ბარიშნიკოვი.** რუსეთის საზოგადოების აღშფოთება მინისტრის განმარტების შემდეგაც არ დამცხრალა. პირიქით, აღშფოთება შეიძლება უფრო გაძლიერდეს, რადგანაც მინისტრმა ერთი გასამართლებელი საბუთიც არ დაასახელა.

იგი სცდილობდა მოეჩვენებინა ჩვენთვის მოუმწიფებელ მოწაფეთა საქციელი პოლიტიკურ დანაშაულობად; ახალგაზდობაზე ისე ლაპარაკობდა თითქოს ისინი იყვნენ გაუსწორებელი დამნაშავენი. ბევრ საკითხზე მინისტრმა განმარტება არ მოგვცა. საზოგადოებრივი აზრი უცხადებს გაკიცხვას სამინისტროს პოლიტიკას და იღებს ოქტომბრისტთა ფორმულის მორიგ საკითხებზე გადასასვლელად.

**იანუშკევიჩი.** მინისტრი სცდილობს ჩაჰკლას მოსწავლეებში ყოველივე დამოუკიდებელი განვითარება. სათათბირომ უნდა პროტესტი განაცხადოს ამის წინააღმდეგ.

**ივანოვი** აკრიტიკებს მინისტრის განმარტებას, უნდობლობას და ღრმა აღშფოთებას უცხადებს მის პოლიტიკას.

**იაგოლსკი.** სასწავლებლებში ბავშვები უფრო წვალობენ, სანამ სწავლობენ. ამაში უწყება უფრო დამნაშავე, სანამ ბავშვები (ტაში).

კამათი მინისტრის განმარტებით შესწყდა.

გამოაცხადეს ოხტენის ქარხანაში მომხდარ აფეთქების გამო შეკითხვა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და სამხედრო მინისტრის მიმართ.

**ტულიკოვი** შეკითხვის სწრაფ განხილვას მოითხოვს. უბრალო შემთხვევით მოხდა, რომ მსხვერპლი გაცილებით ნაკლებია აფეთქების გამო. სამხედრო უწყებას ასაფეთქებელ მასალის მოჭარბებული მოთხოვნილება აქვს, სახლოსნოებს ავსებს ამ მასალით და მუშებს საფრთხეში აგდებს.

**ვიშნევსკი.** დროა ყურადღება მიექცეს მუშათა მდგომარეობას. მათი ცხოვრება სულ მთლად არ არის უზრუნველყოფილი.

მემარჯვენენი შეკითხვის სწრაფ განხილვის წინააღმდეგი არიან.

**მალინოვსკი.** აფეთქების შიში, ქარხნის უფროსის სიტყვით, კიდევ არის. ქარხანას არ აფართოვებენ. წარმოიდგინეთ, როდესაც უფროსი ქარხანაში მიდის, სახლში დაბრუნების იმედი აღარა აქვს. უბედურ შემთხვევათა პროცენტი რუსეთში, ყველა სახელმწიფოებს აჭარბებს. საჭიროა ტეხნიკის გაუმჯობესება. ეს მარტო სოც.-დემ. შეკითხვა კი არ არის, არამედ მთელ რუსეთის მუშათა შეკითხვაა.

შეკითხვის სწრაფი განხილვა სათათბირომ მიიღო 134 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 127. შეკითხვა ერთხმად მიიღო სათათბირომ.

გამოაცხადეს ოპოზიციის სწრაფი შეკითხვა, ადმინისტრაციის უკანონო მოქმედების შესახებ ორლოვსა, ალგაჩინის და სხვა კატორღებში.

რადგანაც დრო გადასული იყო, შეკითხვის სწრაფი განხილვა ოთხშაბათისთვის გადასდეს.

შემდეგი სხდომა 30 იანვარს მოხდება.

# ახალი ამბავი

**ტფილისი**

◆ **დღეს, პროფ. ა. ს. ხახანაშვილის გარდაცვალების ნახევარ წლის თავზე**, წ. კ. საზოგადოების თაოსნობით ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადაიხდიან წირვასა და პანაშვიდს.

◆ **დღეს მწირველნი არიან:** საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი—ეგზარხოსის ეკლესიაში, გორის ეპი-

# დიმიტრი ყიფიანი

**(ცხოვრების, აზროვნების და მოღვაწეობის მატიანე)**

**კარი IX.**

რაკი შევეხეთ დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობის იმ ხანას, როდესაც გართულებულმა ცხოვრებამ კალამი აღებინა ხელში ეროვნულ-კულტურულ ინტერესების დასაცავად, საჭიროა ვიცოდეთ, რომ კულტურულ მუშაობისადმი მიდრეკილება ყოველთვის ჰქონდა ჩვენს მოღვაწეს, მაშინაც კი, როდესაც სამსახურით იყო დატვირთული. მთავარმართებლის გოლოვინის დროს, ორმოციან წლების დასაწყისში, როდესაც კანცელიარიის გამგედ იყო დიმიტრი ყიფიანი, მისის თაოსნობით და მეცადინეობით არსდება ტფილისში „ტფილისის კერძო სამკითხველო“, რომელსაც მთავრობისაგან დამტკიცებული წესდება ჰქონდა და რომელიც დიმიტრი ყიფიანის ბინაზედ იმყოფებოდა. ამ წიგნთსაცავის დაარსებაში დიმიტრის ეხმარებოდნენ შემდეგი პირნი: თ. ზაქ. ერისთავი, თ. ვახტანგ ორბელიანი, თ. ელიზბარ ერისთავი, თ. ზაქ. ორბელიანი, უუგანათ. თ. კონსტ. დადიანი, თ. ლევან მელიქიშვილი, თ. ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილი (პოეტი), თ. მიხ. თუმანიშვილი, თ. დიმ. ჯორჯაძე, თ. გრ. ორბელიანი და სხვანი. ბიბლიოთეკა 1848 წლამდე, როგორცა ვსთქვით, დიმ. ყიფიანს ებარა, ბიბლიოთეკარიც ის იყო. როდესაც დაარსდა სანამესტნიკო, საბჭოს კანცელარიასთან დააფუძნეს ბიბლიოთეკაც. ამ ხანაში დიმიტრის ბიბლიოთეკის დამაარსებელნი აქეთ-იქით გაიფანტნენ და დიმ. ყიფიანს ძალიან ეძნელებოდა ბიბლიოთეკის შენახვა და გაძღოლა. ამიტომ მან განიზრახა ამ ბიბლიოთეკის მიბარება კანცელიარიის ბიბლიოთეკაში იმ პირობით კი, რომ დიმ. ყიფიანს უკანვე შეეძლო წიგნების წაღება, ვინიცობა ამ წიგნებს მისცემოდა რაიმე სხვა დანიშნულება. როგორც სჩანს დიმიტ. ყიფიანის მიწერ-მოწერიდან კანცელარიის დირექტორთან საფონოვთან, მთავრობამ შეიწყნარა სავსებით დიმ. ყიფიანის და ბიბლიოთეკაც გადაიტანეს კანცელარიაში. მაგრამ 1854 წ. დანიშნული ახალი ბიბლიოთეკარი უყურადღებოდ ეპყრობა დ. ყიფიანს, წიგნების გატანაზე უარს ეუბნება. ასე რომ დიმიტრიმ მოინდომა თავის წიგნების უკან წაღება, მაგრამ ამაოდ. წიგნები აღარ დაუბრუნეს. დიმიტრი არ ცხრება. 1857 წ. საჩივარი შეაქვს კრუზენშტერთან. ორი წლის განმავლობაში პასუხს არ აძლევდნენ. ბოლოს, როგორც იყო, 1859 წელს მორიგებით გაუთავეს საქმე და მისცეს წიგნების ფასად 1000 მანეთი. „რადგან ვიცოდი, ამბობს თავის მოგონებებში დიმიტრი, რომ „нельзя противъ рожна прати“. მეც გავჩუმდი და დავკმაყოფილდი იმითი, რაც მომცეს, თუმცა წიგნები ერთი ორად მეტი დაგვიჯდა. ასე ჩაიყლაპა საზოგადოებრივი ხასიათის საქმე, რომლის მოთავეებად იმ დროს ცნობილი ქართველი მოღვაწენი იყვნენ. ეს ბიბლიოთეკა რომ დღეს „ქართულ მუზეუმის“ კუთვნილება ყოფილიყო, ვითომ ვის რას დაუშავებდა? მაგრამ რა! ცოტა რამ დაგვეკარგა, რომ ამაზედ ვინაღვლოთ. და ჩვენც განვაგრძოთ საუბარი დიმიტრი ყიფიანის კულტურულ მოღვაწეობის შესახებ.

უნდა ვსთქვათ, რომ ტფილისში არ დაარსებულა არც ერთი სამეცნიერო თუ საკულტურო საზოგადოება, რომ დიმიტრი ყიფიანი არ ყოფილიყო ამორჩეული ამ საზოგადოებათა წევრად. კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოება, საექიმო საზოგადოება, კავკასიის განყოფილება საგეოგრაფიო საზოგადოებისა, კავკასიის საქველმოქმედო საზოგადოება—ყველა ამ საზოგადოებაში იყო დიმიტრი ან ნამდვილი, ან საპატიო, ან „членъ-соревнователь“-ი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დიმიტრი დიდი მოყვარული იყო მწიგნობრობისაც. ქართულ ჟურნალ-გაზეთების დაარსებიდანვე მწერლობაში იღებს მონაწილეობას ბაქარქართველის ფსევდონიმით. „ცისკარში“ კერესელიძის დროს, დაიბეჭდა დიმიტრის თარგმნები, ფრანგულიდამ გადმოთარგმნილი: „ზეიმა“, „ღარიბი კაცის რომანი“, ოქტავ ფეილესი, მოლიერის „ცოლის შერთვიხება“; ინგლისურიდამ: „რომეო და ჯულიეტა“, „ორი ვერონელი“. „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა მისი „თურქმენელი ქალი“ და „მიტჩელის ასტრონომიის“ რამდენიმე თავი. შემდეგშიაც, როგორც უკვე ვიცით, წერისთვის ხელი არ დაუნებებია. 1866 წელს, „დროება“ რომ დაარსდა, დიმიტრის თავის შვილ კოტესაგან მოუვიდა წერილი, საცა, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „ნიკო ლოლომბერიძემ მოგიკითხა და გთხოვს რაიმე წერილი გამოუგზავნო გაზეთისთვის, იმიტომაო, შენ ცნობილი მოღვაწე ხარ, შენი წერილი პირველ ნომერს მოუხდებაო. აი თუნდ პარიზის შესახებ რაიმე ბროშურაო ძალიანა გთხოვს“.

თავისუფალ დროს კითხვას ანდომებდა დიმიტრი. თვალ-ყურს ადევნებდა ფრანგულ ჟურნალებსაც. თავის ცოლსა სწერს: „მესაჭიროება „Revue des deux Mondes“ 1858 წლისა. მინდა წავიკითხო ცნობილ ეკონომისტის, ვოლოვსკის წერილი „ბატონ-ყმობა რუსეთში“. რადგან les beau èsprits se rencontrent, ისე გამოდის, რომ ერთი აზრისა ვყოფილვართ ამ საგანზე. ამიტომ ძალიან მინდა წავიკითხო მისი წერილები.“ მეორე წერილში სწერს თავის ცოლს: „ჩემი შრომა, რომელიც შენს სახელწოდების დღეს დავიწყე მოციქულთა სწორის, საქართველოს განმანათლებელ ნინოს სახელის სადიდებლად და რომელსაც დღემდე განუწყვეტლივ ვამუშავებდი, თითქმის დამთავრებული მაქვს, შავად მაინც. ახლა მის შესწორება-გამალაშინებას ვცდილობ“.

დიმიტრი ყიფიანს დიდი სიყვარული ჰქონდა თეატრისა, განსაკუთრებით უყვარდა შექსპირის თეატრი. როდესაც პეტერბურგში უხდებოდა ყოფნა უცხოეთ ტრაგიკოსებს ბეჯითად ადევნებდა თვალ-ყურს. ცნობილ იტალიელ არტისტ ქალის რისტორის შესახებ იგი სწერს თავის ცოლს: „რისტორი ლედი მაკბეტის როლს ისე ჰთამაშობდა, რომ მთლად ამიშალა ნერვები. ნერვები კი ავგარი მაქვს. უკანასკნელ მოქმედებაში საშინელი რამ იყო“. მომღერალი ტამბერლინკითაც აღფრთოვანებული იყო დიმიტრი. საგულისხმო ცნობას გვაძლევს „თემში“ ბ. კოტე ყიფიანი „მეფე ლირის“ შესახებ. ეს იყო 1879 წ. ლირის როლის ასრულება შესთავაზა ილია ჭავჭავაძემ დიმიტრი ყიფიანს. ამის გამო დიმიტრი ყიფიანი სწერს ილიას: „უძვირფასესო ჩემო collega, კნ. ილია გიორგის ძევ! თქვენ რომ ლირის როლი შემომიკვეთეთ, მე მოგახსენებთ, გადვიკითხავ და მაშინ გეტყვით, ვიკისრებ თუ ვერა მეთქი. გადავიკითხე, მაგრამ როგორ? წინ გადავიშალე ექვსი წიგნი: 1. ნამდვილი შექსპირი, ტაუხნიცის გამოცემული 1868 წ. 2. ნამდვილი შექსპირი, საუტლეჯერის გამოცემული ბევრით უფრო ადრე. 3: ბენჟამენ ლაროშის ნათარგმნი ფრანგულად 1852 წ. 4. ფრანსუა ვიქტორ ჰიუგოს ნათარგმნი ფრანგულად 1861 წ. 5. თქვენი თარგმანი ქართულად 1877 წ. და 6. სადგერის ლექსიკონი ინგლისურ-ფრანგული და ფრანგულ-ინგლისური.—შემოვიწყე ეს წიგნები და მოვუჯექ თქვენს თარგმანს, კვალში ჩავუჯექ მედგრად, შეუპოვრად, დაულალავად. 23-ს ვიწყე და წიგნები გუშინ დავკეცე.—რათა? ვისიკ პატივისცემა მაქვს ჩანერგილი გულში და არა მარტო ენაზე, და, მაშასადამე, ვინც მიყვარს, მინდა, რომ იმას წუნი არა ჰქონდეს რა და თუ მე ვიპოვე რამე, პირდაპირ უნდა უთხრა ცალკე, საშინაოდ, მეგობრულად. მაგრამ—თქვენმა თარგმანმა სასიქადულოდ გადივლო თავს. ამგვარი კრიტიკა, კრიტიკა მიუკარებელი, შეუბრალებელი... შრომა გაგიწევიათ დიდი, ნიჭი გიხმარიათ შესანიშნავი, ერთი შეცდომაა მხოლოდ, ერთადერთი: კილო—შექსპირის თხზულებაში, რომელიც კარგა ძველია, ლექსიც ბევრი იქნება დაძველებული, რომელსაც დიდი ხანია აღარ ხმარობენ, მაგრამ კილო არის სასაუბრო კილო, რომელითაც საპატიო ყრილობაში ლაპარაკობდნენ დ ლაპარაკობენ... თქვენ უფრო სამწიგნობრო კილოზე გადადიხართ. მშვენიერება არის თქვენი თარგმანი, ეს ყოვლად უეჭველია, მაგრამ ამ კილოზე არსად ულაპარაკნიათ, არც სადმე ლაპარაკობენ. სათქმელი თუ არის რამე თქვენს თარგმანზე, ეს არის, სხვა სრულებით არაფერი... ახლა მე... გთხოვთ: თუ გნებავთ რომ ლირი მე წარმოვადგინო, ნება მომეცით, რომ ეს როლი თითონ მე ვსთარგმნო, ჩემებურად, მარტო როლი... აგრე იყოსო თუ მეტყვით, საქმეს შევუდგები. 30 ოქტ. 1879 წ.“

ილიამ და ვ. მაჩაბელმა ამაზე დიმიტრის უარი შემოუთვალეს. და ვგონებ, ამ საკითხში შემცდარი იყო დიმიტრი, რადგან შექსპირის ენა სა-

სკოპოსი ანტონი—დარიის მონასტრის ეკლესიაში და ერევნის ეპისკოპოსი პიმენი—სიონის საკათედრო ტაძარში.

✦ **დუელი ტფილისში.** გუშინ, დილის 9 საათსა და 45 წ., საბურთალოზე, გენერალ გაბაშვილის ბაღში, დუელი მოხდა ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად ნამყოფ თავ. მ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილისა და ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის ასრულებელ თ-დ პ. ი. თუმანიშვილის შორის. თ-დ ბაგრატიონის სეკუნდანტებად იყვნენ: გენერალი ყაზბეგი და უგანათლებულესი თ-დი გრუზინსკი, ხოლო თ-დ თუმანიშვილის მხრივ—გენერალი გაბაშვილი და თ-დი ჭავჭავაძე (მეფის მოადგილის ადიუტანტი). დაესწრნენ: ორი ექიმი და ერთი ფერშალი. მოპირდაპირეთ ერთმანეთს ორჯელ ესროლეს რევოლვერები, მაგრამ ორივენი უვნებლად გადარჩნენ, რომლის შემდეგაც თ-დმა ბაგრატიონმა და თ-დმა თუმანიშვილმა ერთმანეთი გადაჰკოცნეს. დუელის დასრულების შემდეგ უცებ გაჩნდნენ პოლიციმეისტრის თანაშემწე კაპიტანი სტროევი, მაძებარ პოლიციის უფროსი გაგიევი და შესაფერი ოქმი შეადგინეს.

✦ ქალაქის გამგეობამ მეეტლეთა მამასახლისად დაამტკიცა ე. თ. კოროლიოვი, ხოლო მის თანაშემწედ ბახტიოზოვი.

✦ განსვენებულ მომრიგებელ მოსამართლე **ნიკო ხიზანაშვილის** სახლობას (**მსახიობ ელისაბედ ჩერქეზიშვილს**) ხაზინამ წლიურ პენსიად დაუნიშნა 1333 მ. 32 კ.

✦ ტფილისში ჩამოვიდა **ბერძენთა პოეტი გრაფი ს. კავვადა**, რომელიც ბერძნულად წაიკითხავს ლექციას: „საბერძნეთის აღორძინება". მას მოუვლია მთელი ევროპა, ყოფილა რუსეთიც და ყველგან წაუკითხავს ამგვარივე ლექციები. ლექციის შემოსავალი საქველმოქმედო საქმისათვის გადაიდება.

✦ **სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის** ახალ ადგილზე ქალაქის გამგეობამ დანიშნა: ხარჯის ამკრებებად ტერ-ელიაზაროვი, ხაჩიკიანცი, დანიელიანცი და ქავთარაძე. (ამათ გამგეობას უნდა წარუდგინონ ოც-ოცი თუმანი ბე); ბაზრის მეთვალყურეებად: ამილახვარი და ტოტომიანცი და ევტიევი და გზირად—ხარაზიანი.

✦ ქალაქის გამგეობამ 85 მან. გადასდო ვერის საქალაქო საქალებო სასწავლებელში კალათების დაწვნის გაკვეთილების შემოსაღებად.

✦ გუშინწინ საგანგებო კომისიამ ეგზარხოსის თავმჯდომარეობით და ეპისკოპოსების და სასინოდო კანტორის პროკურორისა და სხვათა მონაწილეობით დაადგინა. 1) დაბეჭდოს მოწოდებანი გლეხთა დროებით ვალდებულების მოსპობის კანონის შესახებ და სამღვდელოებას დაუგზავნოს ხალხში გასავრცელებლად და 2) ქადაგებათა კრებულის შემდეგა ცალკე კომისიას მიენდოს.

✦ ტფ. საბოტანიკო ბაღმა წელს შესამჩნევად გააფართოვა გოქჩის განყოფილება. დასთესა საძოვარი ბალახი და ჩაჰყარა მრავალი ხეხილის ნერგი.

✦ მსმენელნი სამეურნეო კურსებისა, რომელიც 21 იანვარს დაიხურა, გუშინ ზურნაბადის სადგურზე გაემგზავრნენ, სადაც შეისწავლიან მინდვრის თაგვთან საბრძოლველ ღონისძიებათ.

✦ კავკასიის სააბრეშუმო სადგურის რეორგანიზაცია საბოლოოდ გადაწყვეტილია. დაარსდება საბჭო, სამეცნიერო საკითხების დასამუშავებლად და მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის კომიტეტი.

✦ თავრიზიდან ტფილისში ჩამოვიდა სპარსეთის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე საპეხდარი აქედან ევროპაში მიემგზავრება.

✦ დიდმარხვის მე-6 და მე-7 კვირაში ტფილისში მოხდება ჭლექთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოების გამოფენა. საქმის მოსაწესრიგებლად არჩეულ კომისიაში არიან: თ-დი მ. მ. თუმანიშვილი, ა. ა. ბუხარინსკი და ლ. გონინი.

✦ **ველისციხისა და მუკუზანის** სოფლის საზოგადოებამ ტფ. გუბერნატორს მადლობა გამოუცხადა ყაჩაღების მოშორებისთვის.

✦ **ხმოსნის გარდაცვალება.** 25 იანვარს ტფილისში გარდაიცვალა ქალაქის საბჭოს ხმოსანი ქიარიმ-ბეკ ვექილოვი, რომელიც გუშინ დაკრძალეს. დასაფლავებას დაესწრნენ ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელნი ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვის მეთაურობით და მრავალი ხალხი. გარდაცვლილ ხმოსნის ადგილს დაიჭერს უფროსი კანდიდატი ი. ა. თამამშევი.

✦ **ჰიგიენა სკოლებში.** სოლოლაკის პირველ-დაწყებით საქალაქო სკოლის გამგეს ნ. ფირუმოვს ქალაქის გამგეობაში წინადადება შეაქვს: საქალაქო სკოლებში გამართონ ხოლმე მოზრდილ მოსწავლეთათვის დრო-გამოშვებითი საუბარი ელემენტარულ ჰიგიენაზე.

✦ მაძებარ პოლიციის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა ადმინისტრატიულის წესით გააძევონ კავკასიის საზღვრებიდან ტფილისში მცხოვრები ალექსანდრე მოსიანცი, რომელსაც იარაღის შენახვა ჰბრალდება.

✦ **ქალაქის გამგეობა.** შანიავსკის სახალხო უნივერსიტეტს (მოსკოვში) შეეკითხა, მართალია თუ არა, ვითომც მომავალ გაზაფხულს უნივერსიტეტთან საბიბლიოთეკო კურსები არსდებოდეს.

✦ **სამშობიარო თავშესაფარის** გასანათლებად საჭირო მავთულების გაყვანა ქალაქის გამგეობამ გუშინ იჯარით მისცა 3,600 მ. „კარლ ფლორ"-ის ფირმას.

✦ **ქალაქის საელექტრონო სადგური** მოქმედებას დაიწყებს არა ადრე მარტისა. ამის გამო ქალაქის გამგეობამ სადგურის შესანახად გადადებულ ფულიდან გამოჰყო 4,120 მ. და ამ ფულს მოახმარებს ნავთით განათებას.

✦ **ჟურნალ „განათლების" რე**დაქცია აუწყებს ხელის მომწერლებს, რომ იანვრის ნომრის გაგზავნა ხელის მომწერთათვის, რედაქციაზე დამოუკიდებელ მიზეზის გამო, დროებით შეჩერებულია.

# „სახალხო გაზეთის" რედაქციისაგან:

რადგანაც ჩვენი რედაქციისათვის შესაძლო გახდა **პროფ. ივ. ჯავახიშვილის** შრომის **„ქართველი ერის ისტორიის"** შეძენა, გადავწყვიტეთ, მიუხედავად იმისა, რომ ეს გაცილებით მეტს ხარჯს მოითხოვს ჩვენგან, წლიურ ხელის მომწერთ **მეორე პრემიად** დავურიგოთ ხსენებული შრომა. „ქართველი ერის ისტორია", ზომით იქმნება არა ნაკლებ 500 გვერდისა; შიგ შევა თვით ავტორის მიერ შესწორებული და შევსებული პირველი ტომი და მეორე, ჯერ დაუბეჭდავი ტომი. წიგნს დართული ექნება პეტერბურგში საგანგებოდ დამზადებული **სურათები**, და ძველი **საქართველოს რუქა.**

ის მასალა, რომელიც უნდა მოთავსებულიყო პრემიად განზრახულ წიგნში „ქართველი მწერლები", მოთავსდება გაზეთში და უმთავრესად კი მის დამატებაში. ამ მიზნისათვის რედაქციის პორტფელშია ახალი პოემა **ვაჟა-ფშაველასი,** ახალი მოთხრობა **ბარნოვისა** და სხვა.

✦ 25 იანვარს პოლიციის სხვა და სხვა უბანში 61 უპასპორტო შეიპყრეს.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ სახლის პატრონთა და მდგმურთა საზოგადოების საბჭოს დღეს კრება ექნება ქალაქის გამგეობის სადგომში.

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება 28 იანვარს მოხდება. კრება, სხვათა შორის, მოისმენს ქალაქის მოურავის ცნობას ხმოსნის ქიარიმ ბეკ ვექილოვის გარდაცვალების შესახებ და გაარჩევს შუამდგომლობებს მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებისას, „ნაძალადევის" სცენის მოყვარულთა ჯგუფისას და სომხთა საზოგადოების „ლუის"-ისას, რომელნიც ქალაქისაგან დახმარებას თხოულობენ.

✦ **მდაბიო მოქალაქეთა რწმუნებულების კრება.** მოხდება 29 იანვარს, საღამოს 7 ნახ. საათზე, კრება, სხვათა შორის, მოისმენს საგანგებო კომისიის დადგენილებას, რომანოვთა გვარეულობის 300 წლის მეფობის იუბილეს აღსანიშნავ პროგრამის თაობაზე.

## რკინ. გზაზე.

✦ ხაშურიდან სამტრედიამდე და ჯაჯურიდან ყარსამდე თოვლის ნამქერებია. მატარებლები იგვიანებს.

## სომეხთა ცხოვრება

✦ სომეხ ლიტერატორთა საზოგადოების საბჭომ შეიმუშავა სალიტერატურო ფონდის წესდების პროექტი და მომავალ კვირას საზოგადოების წევრთა საერთო კრებას წარუდგენს.

## ქუთაისი

✦ პოლიტიკურ პატიმარს **მელიტონ გობეჩიას**, რომელსაც ოთხი წლის კატორღა აქვს გადაწყვეტილი, ახალი საბრალმდებლო ოქმი ჩააბარეს ბროშურის (რა უნდა გლეხს) გადათარგმნისათვის.

✦ გუშინ ოლქის სასამართლოში გაირჩა **თ. აკაკი წერეთლისა** და მადათოვის შორის ატეხილი დავა მიწის თაობაზე. სასამართლოში მადათოვი, არც მისი ვექილი არ გამოცხადებულა. საქმე გაირჩა. რეზოლუცია გამოცხადდება 6 თებერვალს.

✦ 24 იანვარს, ღამის 11 საათზე გოშპიტლის ქუჩაზე **პოლიციამ გაჩხრიკა** ქეიშვილის სახლში მცხოვრებნი ა. შენგელია და ა. ხელაძე. ამ დროს შენგელიასთან სტუმრად იყო აქციზის ცხადაია, რომელსაც აღმოაჩნდა რევოლვერი. ცხადაია მსახურობს ახალციხის „ლესნიჩთა" სასამართლოში და რევოლვერიც იქიდან ჰქონია მიცემული. გაჩხრეკის შემდეგ ყველანი საპოლიციო ნაწილში წაიყვანეს. („იმერეთი").

✦ **თავდასხმა.** 24 იანვარს საღამოს 7 საათზე, რაფიელ ელოს ძე რიჟინაშვილი თავის შვილით სავაჭრო დუქნიდან სახლში დაბრუნდა, (სახლი მდებარეობს გაგარინის ქუჩაზე, თოფურიას მისახვევში). მათ შეამჩნიეს ქუჩაში რამოდენიმე პირი, ერთ მათგანს ხელი ჰქონდა შეხვეული თეთრი ხელსახვევით. როდესაც მამა და შვილი სახლში შევიდნენ ქუჩიდან იმ პირმა, რომელსაც ხელი ჰქონდა შეხვეული ხელიდან ხელსახოცი მოიშორა და რაღაც ნივთი რაფიელ რიჟინაშვილის აივანზე ააგდო. რამოდენიმე წუთის შემდეგ მოისმა საშინელი ხმა. ყუმბარის აფეთქებიდან სულ ერთიანად დალეწილი აღმოჩნდა რიჟინაშვილს სახლის აივანი, ფანჯრები და კედლის ნაწილი. ადმიანთა მსხვერპლი არა ყოფილა. ამ უბედურების შემდეგ, რიჟინაშვილისას მოვიდა პოლიცია, ბრალმდებელი-გამომძიებელი და ჟანდარმები. როგორც ამბობენ, შანტაჟისტებს წერილი გაუგზავნიათ რაფიელ რიჟინაშვილისათვის, ფულნი გამოგვიგზავნეთო. რიჟინაშვილს კი შანტაჟისტების თხოვნა არ დაუკმაყოფილებია, ეს ყუმბარის სროლაც შურისძიება უნდა იყოს მათის მხრით.

✦ ებრაელს გაბრიელ ფიჩხაძეს, ფილხაზ და არონ რიჟინაშვილებს, მოვაჭრე იაკობაშვილებს და სხვებს შანტაჟისტებისაგან წერილები მიუღიათ. შანტაჟისტები სთხოვენ ზოგს 2000, ზოგს 10,00, და ზოგსაც 20000 მანეთს, ვინც ფულს არ გაუგზავნის შანტაჟისტები მოკვლას უქადიან.

✦ ჩხენკელს კვლავ მიუღია წერილი ქუთაისის ციხის პოლიტიკურ ტუსაღებისაგან. ამ წერილში აღნიშნულია ციხის ადმინისტრაციის სასტიკი და უკანონო მოქმედება სულით ავადმყოფ ტუსაღ ევ. დვალის მიმართ. ამას დიდი აღშფოთება გამოუწვევია ტუსალთა შორის და მოსალოდნელია ტუსაღებმა აქტიურ წინააღმდეგობას მიმართონ.

ჩხენკელს გაზრახვა აქვს ზემო აღნიშნული ფაქტი მიაკიროს შეკითხვას კატორღელების შესახებ, რომელიც 22 იანვ. უნდა შეეტანათ.

✦ როგორც გვაცნობებენ აკაკის წიგნზე აკრძალვას ამ დღეებში ახსნიან.

✦ სამშაბათს, 29 იანვარს ქუთაისში მოხდება სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრთა კრება.

✦ კოოპერატიული ჟურნალი „შრომის კავშირი" ქუთაისში გამოვა კვირას 3 თებერვალს.

✦ აბაშის მომხმარებელ საზოგადოების „ანგარიშის" გამგეობას განზრახვა აქვს ნაცვლად ცენტრალური მაღაზიისა, გახსნას განყოფილებები: დაბაში დარჩება საყასბო და ფურნე და იქვე იქნება გამგეობა.

✦ **მინა ბოლქვაძე,** 2000 საწინდარით გაუნთავისუფლებიათ.

✦ ქუთაისის რეალურ სასწავლებელში **სახელოსნო კურსები** გაიხსნა. კურსებზე მეცადინეობენ ყველა ქუთაისში არსებული საშუალო სასწავლებლების შეგირდები. მეცადინეობა კურსებზე იწყება ნაშუადღევის 4 საათიდან. („მერცხალი")

## სამღვდელოების კრება

გუშინდელს კრებაზე მოისმინეს მოხსენება იმ კომისიისა, რომელსაც დავალებული ჰქონდა მედავითნეთა კურსების დათვალიერება. კომისიის წევრმა მღ. როჟდესტვენსკიმ აღნიშნა, რომ კურსებს არავითარი მოწყობილობა არა აქვს, არა აქვს პროგრამაც და ამას გარდა მისი ნივთიერი ღონისძიებანი დღემდე სულ შემთხვევითია. გორის ეპისკოპოსს ანტონის, კურსების დამაარსებელს, კომისიისათვის გადაუცია სურვილი, რომ კურსებს ალექსანდრე ეპისკოპოსის სახელი ეწოდოს და სამღვდელოებამ კურსებს ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს.

კომისიის მოხსენების გამო კრებამ დიდ-ხანს ითათბირა და გამოირკვა, რომ უმრავლესობა მომხრეა, ნივთიერი დახმარება უეჭველად აღმოუჩინოს კურსებს. რომელ წყაროდან მისცეს ფული, ვერ გადასწყვიტეს. ეს საქმე მიანდო საგანგებო კომისიას, რომლის წევრებად აირჩია: არქიმანდრიტი პიროსი, დეკანოზები: ნ. თალაკვაძე და მ. მახათაძე და მღვდლები: ვ. კარბელაშვილი, ი. სმირნოვი, ქ. ჯიოშვილი და ტფ. სასულიერო სემინარიის [illegible]ლი ვ. ბარნოვი.

კრებამ მსჯელობა იქონია სამღვდელოების სამარხ კასის წესდებაზე. წესდებით წევრის დასამარხავად კასამ ერთ-დროულად უნდა გასცეს 560 მან. ზოგიერთი მუხლი კრებამ მოძველებულად იცნო და მისი შეცვლა საჭიროდ აღიარა. ამ საკითხის დაწვრილებითი განხილვა დღეის კრებისათვის გადაიდო.

კრებამ მოისმინა შუამდგომლობა ღარიბ სამღვდელო პირთა სამზრუნველოსი, რომელიც ტფილისში არსებობს. სამზრუნველოსათვის მთავრობას ავლაბარში მუქთად მიწა დაუთმია და ამ ადგილზე სამზრუნველო სამღვდელო პირთათვის თავშესაფარის აგებას აპირობს. შენობის პროექტი უკვე შეუდგენია. უნდა იყოს სულ ოცი ოთახი. შენობის ასაგებად სამზრუნველო 23,000 მან. თხოულობს. სამღვდელოების კრებამ ეს საკითხი საბოლოოდ არ გადასწყვიტა, თუმცა აღიარა კი, რომ ამ ფულის გადადება ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც სამღვდელოებას სხვა უფრო დიდი მოთხოვნილება აქვს, მაგალითად დედათა საეპარქიო სასწავლებლის საჭიროებათა დაკმაყოფილება, რომელიც 50,000 ხარჯს ითხოვსო.

დასასრულ დაადგინეს ამავ დღეს, საღამოს 7 საათზე, კვლავ შეიკრიბნენ, სადაც მეფის მოადგილის კანცელარიის მოხელე სლოვინსკი სამღვდელოებას განუმარტავს გლეხთა დროებით ვალდებულების მოსპობის ახალ კანონს.

ღარიბ მრევლთა კრებულის შორის სინოდისაგან გადადებულ ფულის გამნაწილებელ კომისიაში კრებამ აირჩია გორის მაზრიდან შემდეგი მღვდლები: გაგლოევი, ხუციშვილი, და არა ბარნაბაშვილი და ხახუტაშვილი როგორც ეს შეცდომით გვქონდა მოყვანილი ჩვენის გაზეთის გუშინწინდელ ნომერში.

## მცირე შენიშვნა

„ჩვენს დროება"-ს უნდა, რომ მაინცა და მაინც თავისი აზრი მოგვახვიოს კისერზე. თავ. პ. ი. თუმანიშვილმა თავ. ბაგრატიონი სამედიატორო სასამართლოში გამოიწვია, ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა, მაშასადამე, თქვენც ხმა უნდა ჩაიწყვიტეთო. სწორედ რომ ახირებული მსჯელობაა! ჩვენს შეხედულებას კახეთის რკინის გზაზე იმას არ ვუკავშირებთ, თუ რამდენად მართალია, თავ. ბაგრატიონი, ან რამდინად კარგად იქცევა იგი, როდესაც სამედიატორო სასამართლოზე უარს ამბობს. სასამართლოს გადაწყვეტილებას მაშინა აქვს მნიშვნელობა და მაშინ არის იგი სავალდებულო ყველასთვის, როდესაც იგი პატიოსნებას ეხება. კახეთის რკინის გზის საკითხი კი მარტო პატიოსნების საკითხი არ არის ჩვენ **მავნებლად** მიგვაჩნია თავ. პ. ი. თუმანიშვილის პოზიცია, მისი მოქმედება სასამართლომ სრულიად **პატიოსნურადაც** კი რომ აღიაროს. ამ რწმენას ვერავითარი სამედიატორო სასამართლო

---

საუბრო, მდაბიური არ არის და ჭავჭავაძე-მაჩაბლის თარგმანი ძლიერ უახლოვდება ტექსტის ენას. მაგრამ ჩვენთვის აქ საინტერესო ის არის, თუ რა გულმოდგინეობით ეკიდებოდა დიმიტრი შექსპირის თეატრს.

დიმიტრი კარგი მცოდნე იყო ქართული ენისა. ძველი და ახალი მწერლობა ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი. შესწავლილი ჰქონდა აგრეთვე ქართული გრამატიკული ლიტერატურა. თუმცა სპეციალური ლინგვისტური ცოდნა არ ჰქონდა, მაგრამ საგრამატიკო ლიტერატურის ცოდნამ გააბედვინა და ქართული გრამატიკა დააწერინა. ამ გრამატიკის მეცნიერულ განხილვაში აქ, რა თქმა უნდა, ვერ შევალთ. მკითხველისთვის კი საინტერესო უნდა იყოს ამ გრამატიკის წინა სიტყვაობაში ჩართული ზოგიერთი მოსაზრებანი. წიგნს უძღვნის პროფ. ჩუბინაშვილს. 1881 წელს იგი სწერს პროფესორს: „თქვენი გრამატიკა რომ აღარ იშოვებოდა და აღარც სხვებისა, საქმე ისე გაგვიძნელდა, რომ დედა-ენის სწავლებას ვეღარ ვახერხებდით, მეტი ღონე აღარ იყო, ჩემი შვილებისთვის მევე უნდა შემედგინა გრამატიკა; როგორც მომეხერხებოდა ისე, სტამბაში ვგზავნი კიდეც დასაბეჭდათ". დიმიტრი ყიფიანი თითქოს თავს იბოდიშებს პროფესორთან. გავბედე და გრამატიკა დავწერეო. ნამდვილად კი, როგორც უკვე ვიცით, დიმიტრის არ მოსწონდა ზოგიერთი ფორმები ჩუბინაშვილის გრამატიკისა. და თავის გრამატიკაში ცდილობს გამოარკვიოს ქართულ კანკლედობის კანონები. გრამატიკის ტექსტში, ყოველი ახალი წინადადება ხუცურის ასომთავრულით არის დაბეჭდილი. „ძალიან ვსწუხდი, ამბობს დიმიტრი, რომ წერაში და ბეჭვდაში ასომთავრულით ხმარება გადავარდნილიყო. სხვა არ იყოს რა, თვალთათვის მაინც დიდად სამძიმო არის სტრიქონების ასეთი ერთნაირი გაბმა, რომ შესასვენებელი აღარც სად წერტილი ჩნდეს და აღარსად მომსხო ასო, წვნიკი ასოებისაგან განსარჩევი". ქართულ გრამატიკის და ენის შესახებ ვკითხულობთ წინასიტყვაობაში: „რიგი და სამართალი მოითხოვდა სწავლას ისე დავიწყებდეთ ხოლმე, რომ ადვილიდამ ძნელამდინ გაუჭირვებლად ვივლიდეთ; თორემ რასაც ახლა თვალითა ვხედავთ და რაც გარს გვახვევია, აქედამ მოყოლების მაგიერად, სწავლას იქიდამ გვაწყებინებენ ხოლმე, რაც ჯერ მიუწვდომელია ჩვენი თვალისათვისაც და გონებისათვისაც, და ამით საქმე მეტად გვიძნელდება. თქვენც აგრე იტანჯებოდით სწავლითა, შვილებო: გეოგრაფიაში, მაგალითად ვიტყვი, ჯერ მთელი ქვეყანა შემოგარბევინეს ფიქრითა და ბოლოს მოგიყვანეს ამ ჩვენს ქვეყნის ოდენა რუსეთში;—საქართველოს გეოგრაფია ხომ ჯერაც არავის უსწავლებია თქვენთვისა,-ენებში ჯერ ფრანცუზული მოგაყარეს, მერე რუსულსა და თქვენი დედა ენა კი, გეოგრაფიისა არ იყოს, სულაც არავის უსწავლებია რა და, როგორც ჰირწყლიან ქართველებს, გინდათ ახლა მაინც ისწავლოთ". დიმიტრი ჩამოსთვლის რა ქართულ გრამატიკის დამწერთა სახელებს,—ანტონ კათალიკოზს, ზურაბ შანშოვს, არხიეპ. გაიოზს, დავ. ბატონიშვილს, ვარ. მიტროპოლიტს, იოანე ქართველიშვილს, იესე ჩუბინაშვილს, სოლომონ დოდაშვილს, პლატ. იოსელიანს, დავით ჩუბინაშვილს და სხვათა, ამბობს: „აი, შვილებო, რამდენი გვაქვს და გვქონია, მაგრამ რაგახდა: ჯერ ეს უნდა გითხრათ, რომ ახლა თითქმის აღარც ერთი არ იშოვება, თუ არ დიდის გაჭირვებითა და ნაილაჯობით; და მერე—აღარც ეს არის დასამალავი—ადვილათაც რომ იშოვებოდეს, საისტორიო მასალად კი გამოდგება, რასაკვირველია, მაგრამ სასწავლებლად აღარა". დიმიტრის აზრით „კაცი დროს უნდა მიჰყვეს და თავისი ცოდნაც თან მიადევნოსო". ამ პირობას კი ძველი სახელმძღვანელონი არ აკმაყოფილებენ. ეს იყო მიზეზი, რომ დიმ. ყიფიანმა მოჰკიდა ხელი ამ საქმესაც.

ფრიად დამახასიათებელი გარემოებაა. ისეთი უკაცობაა, რომ არა სპეციალისტმა გრამატიკის შედგენაზედაც უნდა იზრუნოს. საზოგადოებრივი დიფერენციაცია ძლიერ სუსტია, შრომის განაწილება თითქმის არ არსებობს, საზოგადო მოღვაწენი ენციკლოპედისტებს ჰგვანან. ხშირად ისინი არიან მწერლებიც, ისტორიკოსებიც, მეცნიერებიც. ასეთი იყო ილია, გ. წერეთელი—მაგრამ დიმიტრის მაგალითი უფრო თვალსაჩინოა, რადგან მწერლობას იგი უფრო დაშორებულია.—იგი მოხელეა, წინამძღოლია, საზოგადო მოღვაწე და იძულებულია გრამატიკოსიც იყოს! გიორგი ერისთავი სწერდა დიმიტრის: „გრამატიკა შენგან შეთხზული ჩემგან დაუვიწყარო ძველო გულითადო ძმობილო დიმიტრი ივანიჩ მომივიდა... ბევრჯელ კეთილად და ერთგულად შრომა გაგიწევია და გიზრუნავს ქვეყნის კეთილ მდგომარეობისათვის. ამგვარი მოქმედება დასავიწყარი არ არის არავისგან, მეტადრე მათთვის, ვისაც ესმის თავის მოვალეობა ღვთის, ხელმწიფის, ხალხის და სახლობის წინაშე". აი ნამდვილი მდგომარეობა: ღმერთს, ხელმწიფეს, ხალხს და ოჯახს ერთმა მოღვაწემ უნდა გასცეს პასუხი. და სწორედ ასე იყო ჩვენშიაც. ამიტომ ნუ ვსჯით სასტიკის სასჯელით, თუ რომ მეცნიერულ მოთხოვნილებას სავსებით ვერ აკმაყოფილებს ამა თუ იმ მოღვაწის „ისტორია" „ეთნოგრაფია" გინდ „გრამატიკა".

დიმიტრი ყიფიანის ეროვნულ-კულტურულ მოღვაწეობას სიაში პირველ რიგზე უნდა ჩაიწეროს მისი მოღვაწეობა „წ. კ. საზოგადოების" როგორც დაარსების, ისე ამ საზოგადოებაში ხელმძღვანელობის საქმეში.

წ. კ. საზოგადოება დაარსდა 1879 წელს. ხოლო, რახან ოთხმოციან წლეების საზღვრამდე მივედით, საჭიროა აქვე, სანამ გავაგრძელებდეთ ჩვენს საუბარს, მოვიგონოთ დიმიტრი ყიფიანის ქალაქის თავად არჩევის ამბავიც. ეს ამბავი ჩვენს საუბართან ეროვნულ-კულტურულ მუშაობაზე, ლოღიკურად დაკავშირებული არ არის. მაგრამ, რადგან იგი ერთ მწვავ ეროვნულ საკითხს ეხება, ამიტომ მეტი არ არის გავიხსენოთ და იქნებ ამ გახსენებამ დაგვანახვოს, რომ ჩვენი ეროვნული შემეცნება თანდათანობით და დროის განმავლობაში მომწიფდა და რომ ხშირად თითქოს დაბრმავებულნი არ ვხედავდით იმას, რაც ჩვენ თვალწინ იყო და რაც უნდა დაგვენახა. დიმიტრი ყიფიანის ქალაქის თაობის დროს (არჩეული იყო 1 იანვ. 1876 წ. დაჰყო ქალაქის თავად 9 აპრ. 1879 წლამდე) საბჭოში მოხდა ერთი საყურადღებო ინციდენტი.

ნ. ყიფიანი თავის მამის ბიოგრაფიაში ასე გადმოგვცემს ამბავს, რომელიც გაგონილი ჰქონდა მამისაგან. „ერთი ახალი ხმოსანი (გრიგოლ შანშიევი) უნდა დაეფიცებინათ... ფიცი უნდა მომხდარიყო საბჭოს სხდომაში, ქალაქის თავის თანადასწრებით—დასაფიცებელი ხმოსანი იყო სომეხი, სომეხთა მღვდელს უნდა დაეფიცებინა. დაიწყო ხმოსანმა ფიცის თქმა სომხურად. დიმიტრი ყიფიანმა, რომლისაგანაც მაქვს გაგონილი ეს ამბავი, გააჩერა და უთხრა: რადგანაც კანონის ძალით მე უნდა დავესწრო თქვენს ფიცის თქმასა და რადგანაც მე სომხური არ მესმისო, ამიტომ გთხოვთ ან რუსულად სთქვათ ფიცი, რადგანაც ქალაქის საბჭოში ყველანი რუსულ ენას ვხმარობთო, ან ქართულად, რადგანაც ეს ქალაქი საქართველოს დედა-ქალაქიაო... სომეხმა მღვდელმა ძალიან გაცხარებული და ამაღლებული ხმით უპასუხა დიმ. ყიფიანს, რომ ნებას არ მივცემ ამ ყმაწვილს რუსულად ან „თქვენს ქართულს ენაზედ" დაიფიცოს და არ დავანებებ სამთხვევლად არც სახარებას, არც ჯვარსაო. დიმიტრი ყიფიანმა,—რომელსაც ამის შემდეგ სულით და გულით სანანებლად გაუხდა ეს ამბავი, მაგრამ მაშინ მღვდლის გაცხარებულმა პასუხმა აახქარა ესეცა—უთხრა: მეც არ მივცემ ნებას ფიცი იმ ენაზედ სთქვას, რომელიც მე არ მესმისო. სომეხი მღვდელი ადგა და გავიდა კარში. დასაფიცებელი ყმაწვილი-კაცი თან გაჰყვა. წამოდგნენ ხმოსანი სომეხნი... და ყაყანით გავიდნენ კარში"...

მკითხველი გაიკვირვებს ამ ამბავს. იტყვის, როგორ მოხდა, რომ დიმ. ყიფიანი, რომელიც ასე მედგრად იცავდა თავის სამშობლო ენას, ასე უსამართლოდ მოეპყრო სომხურ ენასო. ნუთუ შოვინისტური გრძნობა გამოიჩინა და განზრახ არ შეიწყნარა ფიცი სომხურ ენაზე? ამაზედ გადაჭრით შეიძლება იმისი თქმა, რომ ამ შემთხვევაში ამ ხასიათის გრძნობას ადგილი არა ჰქონდა. ეს იყო ქართველ მოღვაწის **მოუმზადებლობა** ახალ მოვლენის წინაშე. ბევრ ქართველისათვის დაფარული იყო ეროვნული მოძრაობა, რომელიც იმ ხანებში სწარმოებდა სომეხთა ინტელიგენტურ წრეებში. მეორე მხრივ, თვით სომხებშიაც ეროვნული მოძრაობა ყველას არ აკარებოდა. ჯერ კიდევ იყვნენ სომხები ქართული საზოგადოებრივი საქმეებით დაინტერესებულნი, იყვნენ სომეხნი ქართულ საქმის მდგარი მოსარჩლენი: დიმ. ყიფიანსაც

ვერ შეგვიცვლის. ჩვენი პოზიცია ნათელი და ცხადია: კახეთის რკინის გზის მართვა-გამგეობა თავად-აზნაურობის ხელში უნდა ყოფილიყო; ვინც ამ მიზნის განხორციელებას ხელი შეუშალა, ან, უფრო მეტს ვიტყვით, ვისაც შეეძლო საქმისთვის ეშველა და ხელი არ გაანძრია, დამნაშავეა კახეთის რკინის გზის წინაშე. ამ თვალსაზრისით, ბაგრატიონიც დამნაშავეა და თუმანიშვილიც. ამიტომ, ნურას უკაცრავად, თუ „ჩვენი დროების“ დირექტივებს ვერ მივიღებთ და თეთრად ვერ მოვაჩვენებთ საზოგადოებას იმას, რაც შავია..

**შინაური.**

## მკვლელობა გორის სამასწავლებლო სემინარიაში

გორის სამასწავლებლო სემინარიის ეკლესია წმიდა ნინოს სახელობაზეა ნაკურთხი. თოთხმეტ იანვარს მოსწავლე-მასწავლებელნი სემინარიისა დღესასწაულობდნენ წმიდა ნინობასა. საღამოს შვიდ საათზე მიწვეული სტუმრებით აივსო გაჩაღებული დარბაზი. გაისმა მწყობრი, სასიამოვნო სიმღერა მოწაფეთა გუნდისა. სიმღერას მოჰყვა აზრიანად შედგენილი, შინაარსიანი მოხსენება მესამე კლასის მოსწავლის—სოსანაშვილისა—„მაგალითი მასწავლებლისა, როგორც ერთი საუკეთესო გარემოებათაგანი ბავშვების აღზრდისა“. მოხსენებას დაერთო მუზიკა, შემდეგ ლექსების კითხვა... საზოგადოება სიამოვნებით ისმენდა ყველა ამას და მხიარულის ტაშის ცემით აჯილდოებდა ახალგაზდა ალმასრულებელთ. საღამო თავდებოდა, გუნდი მღეროდა პროგრამის უკანასკნელ მუხლსა, როდესაც ერთი მასწავლებელთაგანი შემოვიდა დარბაზში და რაღაც წასჩურჩულა დირექტორსა. აღელვებული წამოვარდა სკამიდან უკანასკნელი და ჩქარის ნაბიჯით გავიდა კარზე. საზოგადოებაში ჩამოვარდა ჩოჩქოლი, სიმღერა უცებ შესწყდა. რა იყო? რა მოხდა? რა ამბავია? ისმოდა აქეთ იქიდან.—თათრების განყოფილებაში მოჰკლეს მოსამზადებელ კლასის მასწავლებელი სოლომონ ტერარუთინოვიო!.. გაისმა პასუხად. მხიარულება წუხარებად შეიცვალა. შეკრთალ-შეშინებული საზოგადოება იმავე წამს დაიშალა. ზოგიერთებმა გასწიეს თათრების განყოფილებისაკენ. ეს განყოფილება მოთავსებულია ცალკე სახლში, რომელიც ასიოდე ნაბიჯით იქნება სემინარიაზე მოშორებული. მოკლული მასწავლებელი ალაყაფის კარების გასავალში იწვა გულაღმა. აღარ ეტყობოდა მცირეოდენი ნიშანიც კი სიცოცხლისა. გადაუწიეს მკერდი, მუცელი, გაუშინჯეს თავი, ყელი, კისერი... არსად არა სჩანდა არავითარი ჭრილობა. მაგრამ როდესაც, პატარა ხანს უკან, პოლიცია და მკურნალი მოვიდნენ, და ამათ ტანისამოსი სრულებით გახადეს გარდაცვალებულს, მაშინ ცხადად აღმოჩნდა პაწია ჭრილობა. მკვლელს ესარგებლნა სიბნელით, მიჰპაროდა უკანიდან და მარცხენა ბეჭის ძირში

მიედო რევოლვერი და ისე ესროლა. პალტო შაჟრიანის ოდნად ამომწვარი ჰქონდა. ტყვია პირდაპირ გულში მოხვედროდა, შუა გაევლო და ერთ-ერთ წიბოში გაჩერებულიყო. ვინ ჩაიდინა ეს საშინელი ბოროტება?. ვინ იყო მკვლელი? პირველ ხანში არავინა სჩანდა, მაგრამ კითხვა-კითხვით მალე აღმოჩნდა კვალი. ამ კვალმა მიჰყვნენ და მკვლევართ ხელში შერცხვეთ მოკლულის მოსწავლე—ახმედოვი. პირველად ცივი უარი განაცხადა, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ გამოტყდა: მე არ მომიკლავს, მე მხოლოდ ყარაულად ვიდექ... მოჰკლა მეორე კლასის მოსწავლემ ტერჰაირაპეტოვმა — განაცხადა მან. დაეკითხნენ: შენ რაღამ გაიძულა ამ საქმეში ჩარევაო?—შიშმაო — უპასუხა მან... რომ არ ჩავრეულიყავ, მომკლავდნენ. ვინა?—მოხსენებული ტერ-ჰაირაპეტოვი და კიდევ მიმინაშვილი, ვლადიმერ ჩოჩია ბ ბილანაშვილიო... დასახელებული მოსწავლენი მაშინათვე შინაურულად დააპატიმრეს. საქმემ ცუდი მიმართულება მიიღო... ფიქრობდნენ, შეიძლება მთელი შეთქმულობაა მოწყობილი, და ამ შეთქმულობას სხვა ბოროტების ჩადენაც აქვს მიზნათაო. მკვლელობის მეორე დღესვე ტფილისიდან მობრძანდა თანაშემწე მზრუნველისა ლ. გ—ძე ლოპატინსკი. დაესწრო განსვენებულის დასაფლავებას და ყოველ ჟამს, მთელი სამი-ოთხი დღის განმავლობაში, თვალ-ყურს ადევნებდა დანაშაულობის გამოძიებას.

მესამე დღეს სრულიად გამოტყდა ახმედოვი: მარტო მე მოვკალ მასწავლებელი, სხვა მოწაფეთ ტყუილად ავწამე ცილიო. „დვოიკებს“ მისვამდა, მემუქრებოდა: იმავე კლასში დაგანარჩუნებო. ამან გამაბრაზა, გონება ამირია, ვიშოვნე რევოლვერი, მიეპარე უკანიდან და ვესროლეო... ტყუილად ჩათრეული უდანაშაულო მოსწავლენი მაშინათვე გაანთავისუფლეს.

ახმედოვი შვილია ღარიბ-ღატაკი მწყემსისა, შთამომავლობით თათარი, ყმაწვილი ბიჭი, რომელიც მხოლოდ მომავალ თვეში შესრულდება ჩვიდმეტი წლისა.

**ახალგორელი.**

## ამნისტიის გარშემო

„რეჩი“ იუწყება, რომ სხვა და სხვა უწყება ამზადებს ამჟამად იმ შეღავათების პროექტს, რომელიც საფუძვლად დაედება თებერვლის მანიფესტს.

იუსტიციის სამინისტროს უკვე შეუმუშავებია განზრახულება დასჯილთა და გამოძიების ქვეშ მყოფთა ხვედრის შესამსუბუქებლად. ეს განზრახულება თვისი ზოგადი სახით განმეორება იქნება იმ მანიფესტებისა, რომელნიც 1896 და 1904 წ. გამოიცა. როგორც ვიცით, ეს მანიფესტები სპობდნენ მცირე საქმეებს, ანთავისუფლებდნენ უმნიშვნელო დანაშაულისაგან, რომლისთვისაც კანონით დაპატიმრებაზე მეტი სასჯელი არ ედებოდა დამნაშავეს. დანარჩენ საქმეებს ხსენებული მანიფესტები ამ სახით ეხებოდნენ, რომ ამცირებდნენ სასჯელის ვადას ერთიდან, მესამედამდე. რაც შეეხება იმ პირთ, რომელნიც პოლიტიკურ დანაშაულისთვის იყვნენ დასჯილნი, 1896 და 1904 მანიფესტები მათი შეღავათის საკითხს ადგილობრივი ადმინისტრაციის შეხედულებას უკავშირებდნე, რომელსაც თავისი აზრი უნდა გამოეთქვა ამა თუ იმ დასჯილის ყოფაქცევის შესახებ—ღირსია თუ არა შეღავათისა.

სათათბიროს ცნობებით, ამნისტიის საკითხი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია. როგორც ამბობენ თებერვალში მხოლოდ ამნისტიის ნაწილი გამოცხადება, რომელიც შეეხება ადმინისტრატიულად გადასახლებულთ და სალიტერატურო საქმეების გამო დასჯილთ. უფრო ფართო ნაწილი ამნისტიისა საზაფხულო დღესასწაულებში გამოქვეყნდება. რა სახით შეეხება ამნისტია პოლიტიკურ დამნაშავეებს ჯერ ცნობილი არ არის. ბევრი დეპუტატი ეჭვის თვალით უყურებს ამინისტიის ფართე ხასიათს. ბევრს შესაძლებლად მიაჩნია, რომ ამინისტიის საკითხი აღიძრას სათათბიროში. პროგრესისტებმა ამნისტიის საკითხის გამორკვევა მიანდეს ცალკე კომისიას. ამ საკითხზე კადეტებიც მუშაობენ. შრომის ჯგუფელებს უხერხულად მიაჩნიათ დღევანდელ პირობებში საკუთარ თაოსნობით გამოსვლა, თუმცა კი ისარგებლებენ შემთხვევით და ამ საკითხზე სათათბიროში მსჯელობას იქონიებენ.

## მცხეთის საკრედიტო ამხანაგობა

მცხეთის საკრედიტო ამხანაგობამ დაწყო მოქმედება 1911 წ. აპრილიდან. ძირითად თანხად მიეცა სახელმწიფო ბანკიდან 1000 მანათი, ხოლო სესხად წევრებზე გასაცემად 3.000 მან. წლის განმავლობაში შესანახად შეიტანეს წევრებმა და გარეშე პირებმა 280 მ. ამავე ხანში ამ ამხანაგობის წევრად ჩაეწერა 167 პირი. წლის ბოლოში მოგება და სარგებელი იყო 563 მან. 78 კაპ. საიდანაც ხარჯს გარდა სუფთა მოგება დარჩა ამხანაგობას 287 მან., 72 კაპ., რადგანაც წევრნი გამგეობისა, მეთვალყურეები და საქმის მწარმოებელი უსასყიდლოდ ეწეოდნენ შრომას. საზოგადო ყრილობამ დაამტკიცა გამგეობის მიერ განაწილებული 1911 წლის სუფთა მოგება (287 მ. 72 კ.) 1) ძირითად თანხისთვის გადაიდო 115 მ. 09 კაპ. 2) სათადარიგო 57 მ. 54 კაპ. 3) განსაკუთრებულ დანიშნულების (საკუთარ ბინის შეძენისთვის) 75 მან. 4) მცხეთის უფასო სახალხო სამკითხველოსთვის 15 მ. 9 კ. 5) მცხეთის პირდაპირ ჯვრის მონასტრის ზარისთვის, რომელიც მცხეთელებს თავის პირდაპირი დანიშნულების გარდა, „გუდოკის“ მაგივრობას წევს. (დილით რეკამენ 5 საათზე) 10 მან. 6) ამხანაგობის მომუშავე პირების სურათის გადასაღებად 15 მან. სრულიად 287 მან. 72 კაპ.

წარსულ 1912 წლის მოქმედება მცხეთის საკრედიტო ამხანაგობისა ამნაირი იყო: 1) ძირითადი თანხა ჰქონდა 1115 მ. 9 კაპ. 2) სათადარიგო 57 მ. 54 კ. 3) ბანკისაგან სესხად აღებული 6000 მ. 4) შესანახად კერძო პირებისაგან შემოტანილი 1584 მან. ამ წელს მთელი მოგება იყო 902 მ. 53 კ.

აქედან წმინდა მოგება არის 420 მან. 77 კ.

ამ მოგებას გაანაწილებს საზოგადო ყრილობა ამხანაგობის წევრებისა, რომელიც მოწვეული იქნება ყველიერში.

## სიმინდის სარო-ში მანქანა.

ქართულ სას. სამეურნეო საზოგადოებას ქართლის ამხანაგობას მოუვიდა ვ. კუპერის და ძმისწულთაგან გამოწერილი საროში მანქანა; ეს მანქანა როშავს სიმინდს როგორც მარცვლად ისე ფუჩეჩად; საათში როშავს 25—12 ფუთამდე; სიმსხოს მიხედვით; მსხვილად მეტს, წვრილად ნაკლებს; სჭირდება უღელი კამეჩი; ღირს 100 მანეთი; ფუჩეჩს ისეთივე ნოყიერობა აქვს, როგორც ქერის ბზე; ამერიკაში გამოიკვლიეს, შემდეგი: სამ წლის განმავლოში ღორებს ასუქებდნენ ზოგს საკუთარი სიმინდის ფქვილით, ზოგს კი ფუჩეჩ-ნარევ სიმინდით; უკეთ და უფრო იაფად გასუქებული აღმოჩნდნენ ის ღორები, რომელთაც აჭმევდნენ ფუჩეჩიანად დაროშილ სიმინდს.

მანქანა სოფ. ზემო-გომში სდგას, ზემო ქართლის აგრონომიულ პუნქტთან; მუშაობს განუწყვეტლივ. ხალხი ფრიად კმაყოფილია, რადგან ყინვების გამო წისქვილები გაჩერებულია და გაჭირვებული ხალხი საქონლისთვის აქა როშავს საკვებს.

## ქართული წერა-კითხვა მესხ თში

(სოფ. აწყვერი).

ამ ერთი თვის წინეთ ჩამოვიარე სოფ-აწყვერში, საცა არსებობს სამი სკოლა—ერთი ქალებისა საცა 27 მოწაფე მაჰმადიანი ქალი სწავლობს, ერთი სამინისტრო და ერთიც სამრევლო საერთოდ სამივე—სკოლაში სულ ოთხმოცდა-თერთმეტი მოწაფე სწავლობს, ქართველი მაჰმადიანები. ამათში ოცდა-ათი ქალია. სწავლა, გარდა სამრევლო სკოლისა, რუსულად და არაბულად სწარმოებს—არაბულს ერთ ადგილობრივი მოლა ასწავლის—რუსულს კი ქართველი მასწავლებლები. სამრევლო სკოლაში საცა ქართველი მაჰმადიანებიც სწავლობენ, მასწავლებლად არის მღვდელი ინასარიძე, რომელსაც მშვენივრად მოუმზადებია 15 მოწაფე ვაჟი და ორიც ქალი ქართულში. მაჰმადიანნი მშვენივრად კითხულობენ ქართულს და სწერენ. ჩემს იქ ყოფნის დროს დაურიგე ბავშვებს ას-ათი ცალი სხვა და სხვა წიგნი უფასოდ, რომელნიც წერა კით.-საზ. და „ნაკადულის“ რედაქციამ დამითმო მათთვის. სამივე მასწავლებლებმა მოიყარეს თავი და გამოუცხადეს ბავშვებს: გსურთ თუ არა ქართული წერა-კითხვის სწავლაო? ბავშვებმა სიხარული გამოსთქვეს. მაშინვე შევადგინეთ თხოვნა წერა კით. საზ. მიმართ და ვსთხოვდით 60 ცალს პირველ დაწყებით „დედა ენას“ და 200 ცალს ქართულ საწერ რვეულს.

ეს თხოვნა უკვე გადავეცი დანიშნულებისამებრ, რომელმაც თხოვნა დააკმაყოფილა.

სხვათა შორის ღვდელს ჰყავს სოფელ—ზიკილიიდან ერთი მოწაფე ფუზეილა გვარამაძე, — რომელსაც ქართულ ჯიმნაზიისთვის ამზადებს. მღვდელთანვე დაიწყეს რამდენიმე ცოლშვილიანმა კაცებმა სიარული ქართულის წერა-კითხვის შესასწავლად.

იმედია ეს სამივე მასწავლებლები წიგნების მიღებისთანავე ენერგიულად შეუდგებიან საქმეს.

**ი. კერესელიძე.**

## ანკეტის გამო

პეტრბურგის უნივერსიტეტთან არსებულმა „ქართულმა სამეცნიერო წრემ“ სახალხო გაზეთის 731 ნომერში და „თემში“ (№ 95) დაჰბეჭდა მოწოდება სადაც ნათქვამი იყო, რომ შარშან ნოემბრის ბოლოს უნდა მომხდარიყო საყოველთაო ანკეტა უმაღლეს სასწავლებლებში მყოფ ქართველ სტუდენტობაში, რომელშიდაც მონაწილეობა უნდა მიეღო როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. იქვე იყო მოკლედ აღნიშნული, თუ რა მნიშვნელობა აქვს ანკეტას საზოგადოდ და ჩვენთვის განსაკუთრებით. ჩვენს მოწოდებას ქართველი სტუდენტობა ნაკლები ყურადღებით შეხვდა, ვიდრე მოველოდით: ზოგი ადგილიდან სრულებით არ მოგვსლია პასუხი, ზოგიდან კიდევ გვიან გვიპასუხეს. გამოგვეხმაურნენ და პასუხი მივიღეთ შემდეგი ადგილებიდან: ოდესიდან (სათვისტომო), კიევიდან( უნივერსიტეტთან და საკომერციო ინსტიტუტთან არსებულ სათვისტომოები), ხარკოვიდან (სათვისტომო), დორპატიდან (სათვისტომო), მოსკოვიდან (სამეურნეო ინსტიტუტის ჯგუფი), ეკატერინოსლოვიდან (სამთო ინსტიტუტის ჯგუფი) თბილისიდან (კერძო პირი) და ქუთაისიდან (კერძო პირი) ამათ უნდა მიემატოს, რასაკვირველია, პეტერბურგი, სადაც თვით სამეცნიერო წრეა ანკეტის მომწყობი. საზღვარგარეთიდან გამოგვეხმაურნენ ბელგიელი ქართველები (ბრუსელი, ლიეჟი) და ნანსელნი (საფრანგეთში). არავითარი პასუხი არ მიგვიღია: მოსკოვიდან (სამეურნეო ინსტიტუტს გარდა), ყაზანიდან, ტომსკიდან, სარატოვიდან, იაროსლავიდან (დემიდოვის იურიდიული ლიცეი), ვარშავიდან, ნოვოჩერკასკიდან, შვეიცარიიდან, გერმანიიდან, ავსტრიიდან, საფრანგეთიდან (ნანსს გარდა) რაკი უმთავრესი ადგილებიდან, სადაც ქართველ სტუდენტობას ბლომად მოუყრია თავი, პასუხი მივიღეთ და შეიძლებოდა, ანკეტა მოგვეხდინა მაგრამ ეს არ იქნებოდა საყოველთაო ანკეტა, რომელიც განიზრახა სამეცნიერო წრემ. ამას გარდა ზოგმა დაგვიგვიანა პასუხი (დორპატისა და ხარკოვის სათვისტომოები და მოსკოვის მეურნეთა ჯგუფი) ამიტომ წრემ თავის სხდომაზე გადასწყვიტა გადასდოს ანკეტის მოხდენა მომავალ თებერვლისათვის და მაშინ მოაწყოს უსათუოდ და აუცილებლად. ეს ამბავი გადაწყვეტილებისთანავე ვაცნობეთ წერილებით ყველას, ვისგანაც პასუხი გვქონდა მიღებული. აქ არ გამოვუდგებით, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქართველი სტუდენტობის ყოფა-ცხოვრების გამორკვევას უსახელო ანკეტის საშუალებით, რადგანაც ჯერ ერთი-ამის შესახებ მოკლედ უკვე გვქონდა ნათქვამი წინა მოწოდებაში და მეორეც-საიდანაც კი მივიღეთ პასუხი, ყველანი დიდის აღტაცებით ეგებებიან ამ საქმეს და ნივთიერ დახმარებასაც გვიწევენ. სჩანს, რომ ანკეტის საკითხი საკმაოდ მომწიფებულა ქართველ სტუდენტობაში და თუ ზოგ სათვისტომოს და ჯგუფს პასუხი არ გამოუგზავნია, შეიძლება ამას გულგრილობას გარდა სხვა საპატიო მიზეზიც ჰქონდეს: ჯერ ერთი, გაზეთი ყველგან და ყველას ხომ არ მისდის და მეორეც ჩვენ მოწოდება მხოლოდ „სახალხო გაზეთსა“ და „თემში“ იყო მოთავსებული; ს.-დემოკრატიული ორგანო მაშინ არ გამოდიოდა და „იმერეთს“ ჩვენი წერილი ალბად არ მისვლია (თვითეულ გაზეთს მოწოდება ცალკე გაუგზავნეთ) თორემ დაჰბეჭდავდა. თებერვალის ანკეტა საყოველთაო იქნება და ჩვენი სურვილია, ყოველმა სტუდენტმა, ქალმა და ვაჟმა, მიიღოს მონაწილეობა, რომ საბოლოო დასკვნები რაც შეიძლება სწორი და უტყუარი გამოვიდეს. ამიტომ კვლავ მივმართავთ იმ სათვისტომოებსა და ჯგუფებს, რომელთაგან პასუხი არ მიგვიღია (მოსკოვში, ყაზანში, ტომსკში, ნოვოჩერკასკში. ჟენევაში), აგრეთვე ცალკე პირებსაც, რომელნიც დაფანტულნი არიან ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეებში და საზღვარ-გარედ, მალე გვაცნობონ მისამართი, რომ ჩვენ დროზე გავუგზავნოთ საანკეტო ფურცლები.

დასასრულ, სამეცნიერო წრე გულითად მადლობას უძღვნის ყველას, ვისგანაც პასუხი მივიღეთ: კიევისა, ოდესისა, ხარკოვისა და დორპატის სათვისტომოების გამგეობას, ბ. ბ. თ. ს—ს (რომელმაც აღგვითქვა ცნობების მოწოდება), გ. ჯანელიძეს (ლიეჟში), აკ. სვანიშვილს (ნანსში), შუშანიკ ასათიანს (ტფილისში), დ. ყიფშიძეს (ქუთაისში), ი. მაჭავარიანს (მოსკოვში) და ალ. სეფსაძეს (ეკატერინოსლავში).

აქვე მოგვყავს ნიმუშად საანკეტო ფურცლის ტექსტი. პასუხ-შევსებუ-

---

სულ იმგვარი სომხები ჰყავდა მეგობრებათ, რომელნიც მშვენივრად, ლაპარაკობდნენ ქართულად და სომხური არ იცოდნენ. ერთის სიტყვით, ტფილისელ სომხების ეროვნულ ნიადაგზე დგომა ჯერ კიდევ ბევრისთვის უცილობელი და უტყუარი არ იყო. და დიმიტრი ყიფიანის ინციდენტი სწორედ ამ კატეგორიის მოვლენაა, როდესაც თითქოს მოულოდნელად წარმოსდგა ისეთი რამ, რაც არ სჩანდა, ბ რის მოლოდინიც არავის ჰქონდა. დიმიტრი რომ ფიცხი არ ყოფილიყო, სხვანაირად დაატრიალებდა საქმეს, მაგრამ საუბედუროდ თავი ვერ შეიმაგრა. და რაკი ერთხელ ვერ შეიმაგრა, ბოლომდე უნდა მისულიყო. ასედაც მოხდა. და ეს გაკვეთილი თითქოს იმას გვეუბნება, რომ ნამდვილი ეროვნული შემეცნება მხოლოდ იქ იწყება სადაც ადამიანი **სხვასაც** სცემს პატივს ისე, როგორც თავის თავს. იმ ხანაში ამ სიმწიფემდე ჯერ კიდევ მისულნი არ ვიყავით.

ახლა წ. კ. საზოგადოების დაარსების ამბავს მივაქციოთ ყურადღება. ბატონყმობის განთავისუფლების შემდეგ, როდესაც სამოქმედოდ ახლად გამოსული ინტელიგენცია შეუდგა ქართულ საზოგადო საქმეების პატრონობას და როდესაც, რუსეთის ლიტერატურის ზეგავლენით, ხალხოსნური მიმართულება მყარდებოდა ჩვენშიაც, ბუნებრივად უნდა დაბადებულიყო აზრი ხალხში განათლების შეტანისა. და დაიბადა კიდეც ამისთანა აზრი ჩვენს ინტელიგენციაში. მესამოციანებში ტფილისში იყო რამდენიმე ოჯახი, სადაც იკრიბებოდნენ ახალგაზდა ყმაწვილები და ბაასობდნენ საჭირბოროტო საქმეებზე. ერთი ამგვარ ოჯახთაგანი იოსებ მამაცაშვილის ოჯახი იყო. აქ იკრიბებოდნენ დიმიტრი ბაქრაძე, დიმ. მუსხელაშვილი. კონს. მამაციშვილი, ექიმი მაღალაშვილი, ვახტ. თულაშვილი, ანტ. ფურცელაძე და სხვანი. შემდეგში მათ მიემატნენ იაკ. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, და გ. იოსელიანი. კრებებს ესწრებოდა აგრეთვე ანნა ბესარიონის ასული მუსხელაშვილისა, და ნიკ. ლოლობერიძეს, როდესაც იგი დროებით ჩამოვიდოდა ხოლმე ახალციხიდამ ტფილისში. ამ წრეში დაიბადა აზრი წ. კ. საზოგადოების დაარსებისა. აი როგორ აგვიწერს ამ ამბავს იაკ. გოგებაშვილი, „განათლებაში“ დაბეჭდილ მოგონებაში. „სულ თავდაპირველად ამ საზოგადოებას ჰქონდა კერძო წრის ხასიათი. ყოველ წევრს ამ წრისას კასაში შეჰქონდა განსაზღვრული ფული, რომლითაც უნდა დაარსებულიყვნენ კერძო სკოლები სოფლად. პირველი კერძო სკოლა დავაარსეთ სოფ. ხოვლეში, იოსებ მამაციშვილის ასულის მარიამის სახელობაზე... მაგრამ პირველს ნაბიჯზედვე წინ გადაგვეღობა დაბრკოლება... ჩვენ ვითხოვეთ... ოთხი წლის კურსი და სწავლება ქართულს ენაზე ყველა საგნებისა ოთხივ წლის განმავლობაში. მთავრობამ ნება დაგვრთო დედა-ენაზე სწავლებისა მხოლოდ სამის წლის განმავლობაში და მეოთხე წელს კი მოითხოვა რუსული ენის ხმარება საგნების სწავლის დროს. არაფრად გვეპიტნავა, გავხსენით სკოლა, გავამწესეთ მასწავლებელი და გავაჩაღეთ სწავლა“. მაგრამ საქმემ ფრთები ვერ გაშალა. სხვა სკოლა აღარ გახსნილა. ირკვეოდა საჭიროება დიდ საზოგადოების დაარსებისა, რომელიც იკისრებდა ამ საქმისგაძღოლას. ხოლო ვახტანგ თულაშვილმა რუსეთიდ მ წესდება რომ დაიბარა წ. კ. საზოგადოებისა, ამ დროს გოგებაშვილი ავად გახდა. ბ ერთი წლ. შემდეგ თულაშვილს რომ შეეკითხა წესდების შესახებ, თულაშვილმა უპასუხა, წესდება რათახანია მომივიდა, ხოლო საქმის დამწყები არავინ არისო. „მოვალეგინე წესდება, მოგვითხრობს იაკობი, წავიღე თან და ნიკო ცხვიდაძესთან ერთად საქმის განხორციელებას შეუდექით. პირველი ჩვენი გადაწყვეტილება იყო ასეთი: ამ საქმის სათავეში უნდა მოვაქციოთ ისეთი გვამი, რომელსაც დიდი სახელი და პატივი აქვს ქართულს საზოგადოებაშიაც და მთავრობის წრეებშიაც. აღებ-დაღების შემდეგ ჩვენ ამისთანა გვამად ვსცანით დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი, რომელსაც მამაცაშვილის წრესთან არავითარი სიახლოვე არა ჰქონდა. და ერთს მშვენიერს საღამოს ვეახელით და თან მივიტანეთ ნორმალური წესდება წ. კ. საზოგადოებისა. როცა ჩვენი წინადადება მოისმინა, მხურვალე თანაგრძნობით მიგვება ჩვენი ძვირფასი მასპინძელი, და ხანგრძლივის მოლაპარიკების შემდეგ გადავწყვიტეთ: ყოველ შაბათს შევკრებილიყავით მასთან და შეგვემუშავებინა წესდება წ.-კ. საზოგადოებისა ქართველთა შორის. გაჩაღდა შაბათის კრებები“. იაკობი ისევ ავად ხდება. ნ. ცხვედაძე გაორკეცებულის ენერგიით განაგრძობდა მუშაობას. „ყოველს შაბათს საღამოს დაიარებოდა დიმიტრი ივანეს ძესთან, და მხოლოდ ეს ორი ქართველი ადგენდა წესდებულებასა ახალის ქართულის საზოგადოებისას“. იაკობის გადმოცემით, წესდების შედგენის დროს, აღმოჩნდა ყოყმანი მთავარ მუხლის შესახებ—ყველა საგნების დედა-ენის საშუალებით სწავლება. დიმიტრი ყიფიანს ეშინოდა, ვაი თუ წესდება არ დაგვიმტკიცონ, თუ ამ ხასიათის განსაკუთრებული მუხლი შევიტანეთო. და პირველად არც შეეტანათ ეს მუხლი. მაგრამ იაკ. გოგებაშვილის ბეჯით გამოსარჩლების ძალით შეიტანეს განსაკუთრებული მუხლი, რომელშიაც ნათქვამი იყო: „Общество достигаетъ своей просвѣтительной цѣли посредствомъ организаціи всего начальнаго обученія на родномъ, понятномъ дѣтямъ языкѣ и способствуетъ обученію русскому языку“. წესდება აჩვენეს ბესარიონ ლოლობერიძეს, რომელიც იმ დროს ტფილისის სახალხო სკოლების დირექტორად იყო. ლოლობერიძე დარწმუნებული იყო, რომ ამ ჩამატებულ მუხლის გამო წესდებას არ დაამტკიცებენ. მაგრამ საქმე ისე მოაწყეს, რომ წესდებას ხელი მოაწერინეს ცნობილ დიდკაცობას და მათის სახელით უნდოდათ წარედგინათ დასამტკიცებლად. საჭირო იყო დამფუძნებელ წევრთა რიცხვის გამრავლება და მიზნის მისაღწევად ცალკე ბარათებს უგზავნიდნენ ცნობილ პირებს. აი დიმიტრი ყიფიანის და ილია ჭავჭავაძის მიერ ხელმოწერილი ერთი ამგვარი ბარათი, რომელიც გაუგზავნეს, სხვათა შორის, გიორგი ნიკოლოზის ძეს ყაზბეგს. „რადგან ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ ხელი უნდა შეუწყოთ მთავრობას ხალხში განათლების შეტანის საქმეში, არსდება ქართველთა შორის წ. კ. საზოგადოება კავკასიის სანამესტნიკოში. ამ საზოგადოებას აქვს აზრად: უკვე არსებულ სკოლების დახმარება და ახალ სკოლების გახსნა, ხოლო ყველა საგნების სწავლა ამ სკოლებში უნდა სწარმოებდეს სამშობლო ბავშვებისთვის გასაგებ ენაზე. რუსულ ენის შეთვისებისათვისაც იქნება გამონახული საჭირო ზომები. საზოგადოების დამაარსებელთა სათავეში დგანან თ. გრ. ორბელიანი, თ. ლევ. მელიქიშვილი, თ. გიორგი ერისთავი, თ. გრიგ. დადიანი და მათ გვერდით ადგილობრივ ინტელიგენციის თითქმის ყველა წარმომადგენელი. ამათ დაგვავალეს თქვენც მოგმართოთ და შეგეკითხოთ, ხომ არ ისურვებთ საზოგადოების დამფუძნებელ წ[illegible]ა შორის თქვენც ირიცხებ[illegible]. თუ თანხმობას გამოაცხადებთ, გთხოვთ მოაწეროთ განცხადებას, რომელსაც გიგზავნით და დაგვიბრუნეთ უკანვე, რათა ეს განცხადება წესდების პროექტს დამატების სახით სხვაგვარ განცხადებებთან ერთად მიუმატოთ“. 1879 წ. წესდება დაამტკიცებინეს და 15 მაისს 1879 მოხდა პირველი კრება ახლად დაარსებულ საზოგადოებისა ამ კრებაზე მოწვევის ბარათში სწერია: „მოწყალეო ხელმწიფევ! ჩვენ მონდობილი გვქონდა სხვათა შორის წარგვედგინა მთავრობისთვის წესდებულება წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა. ქართველთა შორის და გვეთხოვნა მისი დამტკიცება. ეხლა ეს წესდებულება დამტკიცებულია და ერთი დაბეჭდილი ეგზემპლიარი ამასთანავე მოგვირთმევია თქვენთვის, როგორც საზოგადოების დამწესებელ წევრისათვის. რადგანაც ეხლა საჭიროა, რომ ამ საზოგადოების საქმე დაწყობილ იქმნას, ამისთვის გთხოვთ მობრძანდეთ საზოგადო კრებაში 15 მაისს დილის 11 საათზედ თავად-აზნაურთა ბანკის სადგურში და წარმოადგინეთ სია იმ თქვენ ნაცნობ სანდო პირთა, რომელნიც ისურვებენ ჩვენი საზოგადოების წევრთა გახდომასა“. ხელს აწერენ: დიმიტრი ყიფიანი და ილია ჭავჭავაძე.

გამგეობის თავჯდომარედ არჩეული იყო დიმიტრი ყიფიანი, მის ამხანაგად ილია ჭავჭავაძე. მდივნად იყო იონა მეუნარგია, მერე ალ. სარაჯიშვილი. წევრებად—ნიკ. ცხედაძე, იაკ. გოგებაშვილი, ვახ. თულაშვილი და სხვანი—6 კაცი. შემდეგში კიდევ 6 მიუმატეს. ფრიად საგულისხმოა საზოგადოების მოქმედების პირველი ხანა დ. ყიფიანის ხელმძღვანელობით

ჩვენ ეს უკვე, კარგად ვიცით, რომ ყოველ ნაკისრ მოვალეობას დიმ. ყიფიანი თითქმის რომ პედანტიურის გულმოდგინეობით ასრულებდა. ამგვარსავე გულმოდგინეობას იჩენს ამ ახალ საქმეშიაც დიმიტრი ყიფიანი, ხანგრძლივი სამსახურით გაწვრთნილი, წეს-რიგს იყო დაჩვეული და იმ თავითვე ამ წეს-რიგის დაცვას მოსთხოვდა საზოგადოების გამგეობისაგან. იაკობ გოგებაშვილს, მაგალითად, ერთი წინადადება შეუტანია საზოგადოების გამგეობაში, თავჯდომარემ კი ამის შესახებ არა იცოდა რა. და დიმიტრი აცხადებს უკმაყოფილებას: „ყოველი ამგვარი

ლი ფურცლები უნდა გამოეგზავნოს „ქართულ სამეცნიერო წრის" ხელმძღვანელს ბატონს ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილს (С.-Пб., Лахтинская ул., д. № 9, кв. 5). სხვა მიწერ-მოწერისათვის, წინასწარი მუშაობისა, ფურცლების გაგზავნისა და სხვა რამეებისათვის გთხოვთ ასე მოგვმართოთ: С.-Пб., В. О. Волховской пер., д. 4, кв. 10.

წრის გამგეობის თავმჯდომარე **აკაკი შანიძე.**

ქ. სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი **ივ. ჯავახიშვილი.**

P. S. ყველა ქართულს გაზეთებსა ვთხოვთ გადაბეჭდონ ეს ჩვენი მოწოდება და თვით საანკეტო ფურცელიც.

## საანკეტო ფურცელი

### ქართველ სტუდენტების ყოფა-ცხოვრების გამოსარკვევად.

(პასუხი უნდა დაიწეროს იქ, სადაც წერტილები ზის, ან ხაზი უნდა გაესვას ქვემოდან იმ სიტყვას, რომელიც თვით კითხვაში მოიპოვება).

1. ა) ვაჟი ხართ თუ ქალი? უცოლო თუ ცოლიანი? გაუთხოვარი თუ გათხოვილი? დ) ცოლის ეროვნება? . . . . . .; ე) ქმრის ეროვნება . . . .

2. ა) თქვენი წოდება (თავადი, აზნაური, სასულიერო, მოქალაქე, გლეხი); ბ) სარწმუნოება (მართლმადიდებელი, კათოლიკე, მაჰმადიანი, სომეხ-გრიგორიანი, მოსეს სჯულისა). გ) თქვენი წლოვანება . . . . . . წლისა;

3. სადაური ხართ (ქართლი, კახეთი, სამცხე, საინგილო, თუშეთი, ხევსურეთი, ფშავი, მთიულეთი, იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა-ქობულეთი, სამურზაყანო, აფხაზეთი)

4. ა) როდის . . . . . ბ) სად . . . . . . . . . . . და გ) რა გვარი საშუალო სასწავლებელი გაათავეთ (ტფ. ან ქუთ. ქართული გიმნაზია, მთავრობის გიმნაზია; რეალური სასწ., სასულიერო სემინარია, კადეტთა კორპუსი, საკომერციო სასწ., თუ „ექსტერნად" დაიჭირეთ გამოცდა?

5. ა) სად . . . . . ბ) რომელ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობთ . . . . . და 3) რომელ ფაკულტეტზე და განყოფილებაზე . . . . .

6. რამდენი ფული გაქვთ თვიურად სახარჯავად, ვისგან მოგდით: მშობლებისაგან . . . . . ; ნათესავებისაგან . . . . . ; სტიპენდია . . . . . (ვისი სტიპენდია გაქვთ . . . . . ); საკუთარი შრომით ალებული . . . . ; სესხად . . . . . . ; საერთოდ . . . . .

7. თვიური ხარჯი: ბინა . . . . . ; სადილი . . . . . ; სხვა სასმელ-საჭმელი (საუზმე, ჩაი-შაქარი, ყავა და სხვა) . . . . . ; თამბაქო . . . . . ; წიგნები და ჟურნალ-გაზეთები . . . . . ; დანარჩენი წვრილმანი . . . . . ; საერთოდ . . . . .

8. თუ რაიმე ავადმყოფობა ან სენი გჭირთ, რომელი . . . . . და სად დაგემართათ . . . . . .

9. რა საგანი გაინტერესებთ სპეციალურად . . . . .

10. იღებთ თუ არა მონაწილეობას ქართულს ან სხვა სათვისტომოში, აგრეთვე სამეცნიერო წრეებში . . . . . . . . . . (დაასახელეთ).

11. რამდენად იცით და შესწავლილი გაქვთ ქართული ლიტერატურა და ისტორია . . . . . . . . . . სად შეისწავლეთ . . . . . .

12. ქართულს გარდა იცით თუ მეგრულ-ჭანური, ან სვანური, ან აფხაზური?

13. რა უცხო ენები იცით კარგად . . . . . . საშუალოდ . . . . . .

14. თანამშრომლობთ თუ არა ქართულ ან უცხო ჟურნალ-გაზეთებში. . . . . . .

15. რომელ პოლიტიკურ მიმართულებას თანაუგრძნობთ ჩვენში. . . . . .

## ბალკანეთის ომი

### დეპეშები.

25 იანვარი.

**სოფია.** დანევი დაბრუნდა. მინისტრთა საბჭოში მოხსენება წაიკითხა სამშვიდობო მოლაპარაკების თაობაზე.

**სტამბოლი.** გალიპოლთა ბრძოლა გრძელდება. ორივე მხრივ დიდი დანაკლისია. ოსმალებმა ხელახლად დაიჭირეს კავაკ-სუ.

**სტამბოლი.** ფლოტის ერთი ნაწილი მოვიდა. ზოგიერთი ხომალდი შავ ზღვაში შევიდა. როგორც ამბობენ, ოსმალეთის გემებმა გილიაში გადასხა რამდენიმე ათასი შეიარაღებული ქურთი. ქურთები რამდენიმე რაზმად დაიყოფებიან და დაიწყებენ პარტიზანულ ომს.

**სტამბოლი.** კომიტეტმა თხოვნით მიჰმართა ეგვიპტეს და ინდოეთს ფულით დახმარებისთვის.

**სტამბოლი.** ხმა გავრცელდა, რომ გალიპოლთან ბრძოლა ოსმალების ძლიერ დამარცხებით გათავდა. დანაკლისი 5000 კაცია. მთავრობაზე ამ ცნობამ ცუდად იმოქმედა.

**სოფია.** ადრიანოპოლთან ბრძოლა სწარმოებს.

**ცეტინიე.** 25 იანვარს დილით სკუტარის ყოველ პოზიციაზე არტილერიის ბრძოლა გაჩაღდა. სკუტართან ბრძოლაში სერბიის ჯარი მონაწილეობას იღებს. ოსმალეთის არტილერია შესუსტებულია.

### გაზეთებიდან.

**კონსულების თხოვნა.**

21 იანვარს დაწყებული, ადრიანოპოლის ციხის იერიში დიდ ზიანს აყენებს ქალაქს. ევროპის სახელმწიფოების კონსულებმა ალყაშემორტყმულ ქალაქიდან უმავთულო ტელეგრაფით სთხოვეს თავის მთავრობებს, რამენაირად მოახერხეთ, რომ მოკავშირეთა ჯარის უფროსმა ერთი მყუდრო ადგილი დაგვინიშნოს ქალაქში, სადაც ზარბაზანი არ იმოქმედებს და მით უზრუნველჰყავით ჩვენი სიცოცხლე; თუ ასეთი ადგილის დანიშვნა შეუძლებელია, მაშინ ეცადეთ, რომ ბულგარეთის ჯარმა ნება მოგვცეს ციხიდან გამოსვლისაო.

**ბულგარეთის განზრახვა.**

ვენის გაზეთები ერთხმად გამოსთქვამენ შიშს, რომ ბულგარეთს მხოლოდ ადრიანოპოლის აღება კი არ უნდა, არამედ მისი განზრახვა უფრო დიდ მიზანს ისახავსო. გაზეთები აშკარად აღიარებენ, რომ ბულგარეთს სტამბოლის აღება აქვს გადაწყვეტილი, რაც ოსმალეთის ჯარის ახლანდელი მდგომარეობაში საძნელოს არას წარმოადგენსო.

**მოკავშირეთა სრული თანხმობა.**

პარიზში ყოფნის დროს საბერძნეთის პირველ მინისტრს ვენიზელოსს უთქვამს გაზ. „ტანის" თანამშრომლისთვის: სახელმწიფოების ჩარევისა და რჩევის დრო გაფრინდა. ახლა მხოლოდ იარაღი გადასწყვეტს ომის ბედს. ადრიანოპოლის დღენი დათვლილია, რაც, მგონი, ჭკუაზე მოიყვანს ოსმალეთს. ბალკანეთის მოკავშირეთა შორის სრული და განუტეხელი თანხმობაა. ჩვენ დავეხმარებით ბულგარეთს ადრიანოპოლის საკითხის გადაწყვეტის დროს, ხოლო ბულგარეთი მხარს დაგვიჭერს ჩვენ არქიპელაგის კუნძულების შემოერთებაში.

**ოსმალეთის სასოწარკვეთილება.**

ბულგარეთ-რუმინიის შეთანხმებამ მეტად ცუდი შთაბეჭდილება იქონია ოსმალებზე. სანამ რუმინია მტრულად ეკიდებოდა ბულგარეთს, ოსმალეთი მშვენივრად სარგებლობდა ამით და საჭირო სამხედრო სურსათი ევროპიდან რუმინიაზე მოჰქონდა.

ახლა, რადგან რუმინია ნეიტრალია, ასეთი მდგომარეობა ოსმალეთის საზარალოდ შეიცვლება. გაზ. „იილდიზ" სწერს: „რუმინიის ნეიტრალიტეტი ჩვენთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს, მაგრამ თუ მან მხარი დაუჭირა ბულგარეთს იარაღითაც, ეს კი პირდაპირ ოსმალეთის დაღუპვის მომასწავებელი იქნება."

## ბალკანეთი და ევროპა

### დეპეშები.

**სოფია.** დიდ სახელმწიფოთა ელჩებმა გადასცეს გუშინ ადრიანოპოლის ელჩთა თხოვნა: დაადგინონ ადრიანოპოლთან ნეიტრალური ზოლი, ან ნება მისცენ უცხო მოსახლეობას დასტოვონ ქალაქი. გეშოვმა უპასუხა: არ არის პრეცენდენტები იმისა, რომ ელჩებს ან უცხოელებს ნება მიეცეთ ქალაქიდან გამოსვლისა. ბულგარეთის მთავარ შტაბს არ შეუძლიან განსაზღვროს ნეიტრალური ადგილი, რადგანაც იმის უზრუნველყოფა არ შეუძლიან, რომ ამა და ამ ალაგას ყუმბარა არ დაეცემაო.

**ლონდონი.** რეიტერს სტამბოლიდან ატყობინებენ: დიპლომატთა წრეში აღელვებულნი არიან მუსულმანთა მოძრაობით ქრისტიანების წინააღმდეგ, რაც გამოწვეულია კომიტეტის პროკლამაციის გავლენით.

**ლონდონი.** რეიტერის ცნობით, ელჩთა თათბირმა ალბანეთის საზღვრების თაობაზე დაადგინა: ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტა ადგილობრივ უნდა მოხდესო. ამისთვის საჭიროა დაარსონ საერთაშორისო კომისია, რომელსაც მიენდობა საკითხის ადგილობრივი გამოკვლევა.

**ლონდონი.** ჩერნოგორიის მთავარ-დელეგატი მიუშკოვიჩი ცეტინიეში წავიდა, დანარჩენები, პოპოვიჩის გარდა, 26 იანვარს წავლენ.

### გაზეთებიდან.

**ელჩების კონფერენცია.**

ელჩთა ლონდონის კონფერენციაზე უკანასკნელად გაირჩა საკითხი: შესწყდეს თუ არა კონფერენციის მუშაობა ომის განახლებისას. საფრანგეთის ელჩი კამბონი მომხრე იყო მუშაობის განაგრძობისა, რომლის აზრმაც საბოლოოდ გაიმარჯვა. მეორე მხრით ყველა ელჩებმა აღიარეს ნეიტრალობის საჭიროება ომის განახლების დროს.

**ალბანეთის საზღვრები.**

ელჩების კონფერენციამ დღემდე მხოლოდ ეტნოგრაფიული მასალა განიხილა, რომელიც ალბანეთისა და ძველი სერბიის სხვა და სხვა კუთხეს ეხება. არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღიათ, ჯერ-ჯერობით, თუ რომელი ქალაქი უნდა მიეკუთვნოს ალბანეთს, ჩერნოგორიას, ან სერბიას. რუსეთის დიპლომატია მომხრეა მცირე ალბანეთის პროექტისა.

**რუსეთი და ავსტრია.**

ავსტრიის ერთ გამოჩენილ დიპლომატს უთქვამს: ფრანციოსების წერილის შინაარსი კი არ არის საინტერესო, არამედ თვით ფაქტი, რომ ავსტრიის იმპერატორი რუსეთისას კერძო წერილსა სწერს. ეს კი იმის მომასწავებელია, რომ ვენისა და პეტერბურგის დამოკიდებულება გაუმჯობესდაო.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

25 იანვარი.

### საზღვარ-გარეთ

**ლონდონი.** ცნობილმა მეცნიერმა ვილიამ რამზეიმ ქიმიკოსთა საზოგადოებაში განაცხადა, რომ მან მოახდინა ცდა და ელექტრონის ძალით წყალბადი დაანაწილა ორ ელემენტად: ნეონად და გელიად. მეცნიერნი ამ ახალ აღმოჩენას დიდ მნიშვნელობას აწერენ.

**ბერლინი.** რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიაში სტატ-სეკრეტარმა იაგოვმა განაცხადა სახელმწიფოთა ურთიერთობის თაობაზე განსაკუთრებულად კარგი განწყობილება არსებობს ინგლისთანო.

**ტოკიო.** ფუტარის და კიუსიუს ქვა-ნახშირის მაღაროებში აფეთქება მოხდა. მოკვდა 92 მუშა.

**ტოკიო.** დაარსდა სოციალისტური პარტია, რომელმაც მიზნად დაისახა საყოველთაო არჩევნების განხორციელება.

### რ უ ს ე თ ი.

**პეტერბურგი.** ეკატერინბურგიდან მოსული ცნობის გამო 16 იანვრის არყის საწყობში ძლიერ აფეთქებაზე ფინანსთა სამინისტრო იტყობინება: 16 იანვარს ეკატერინბურგის სახაზინო არყის საწყობში ერთ ქვაბს ზარფუში აეგლიჯა. საწყობის გამგის თანაშემწე შესულა საფილტრო განყოფილებაში მოკიდებულ პაპიროზით, რის გამოც სპირტის ორთქლის აფეთქება მოხდა. მოკლულია ბადენ-მიულერი, დაიწვა ხუდეკოვი. ერთი მძიმედ დაშავდა, ერთი—საშუალოდ და ოთხი მსუბუქად. ხუდეკოვის მორჩენის იმედი არის.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** განსვენებულ ავქსენტი ანტ. ცაგარლის ათი წლის თავზე ქართული დრამატიული საზოგადოების დასი გამართავს **სადღესასწაულო საღამოს.** დამსწრეთ განსვენებულის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მოკლე რეფერატში გააცნობს ბ-ნი კ. ი. ანდრონიკაშვილი. შემდეგ ბ-ნ ვ. ალ. აბაშიძის მონაწილეობით წარმოადგენს 3 მოქმედებიან კომედიას „რაც გინახავს ვეღარ ნახავ" და მესამე მოქმედებას კომედიიდან „მათიკო". დასასრულ დასდგავენ ცოცხალ სურათებს. საღამო დაიწყება 8 საათზე.

შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია ხუთშაბათს 31 იანვარს, **ქ-ნ ტ. ვ. აბაშიძის საბენეფისოდ** წარმოადგენენ პირველად ქართულ სცენაზე ბ-ნ ვ. შალიკაშვილის მიერ ნათარგმნ პიესას ბერნარდ შოურა **„კეისარი და კლეოპატრა".** კლეოპატრას როლს შეასრულებს მობენეფისე.

დღეს, შუადღის 12 საათზე, ქართულ თეატრის დარბაზში „ახალი კლუბი" ჰმართავს „მოწაფეთა სამუსიკო მეორე დილას".

**ქართული თეატრი.** ხუთშაბათს, 24 იანვარს, ბ-ნ ვასო აბაშიძის საბენეფისოდ ქართულმა დასმა წარმოადგინა ა. სუმბათაშვილის 5 მოქმედებიანი დრამა „შევარდნები და ყორნები". პიესის მოკლე შინაარსი ასეთია: პატიოსნებით ცნობილი, დედის ერთა, ახალგაზდა ზელინოვი (ვ. მეს[illegible]შვილი) ირთავს გალოთებულ და [illegible] მოხეტიალე ტროფიმე [illegible]ტოკონოვის (ვასო აბაშიძე) ასულს ანტონინას (ქ-ნი ლოლუა), რომელიც [illegible] არჩენდა თავის თავსაც და ოჯახსაც.

ზელინოვი კი გატაცებით უყვარს ბანკირის ზასტრაჟევის (შალიკაშვილი) მეუღლეს ევგენიას (ქ-ნი დავითაშვილი). როდესაც ევგენია განუცხადებს სიყვარულს, ზელინოვი ღირსეულის თავაზიანობით უარსჰყოფს და ვერც კი წარმოუდგენია თუ როგორ შეიძლება მან (ზელინოვმა) რაიმე მსგავსი გრძნობა გაიტაროს მისგან პატივცემულ და საყვარელ ზასტრაჟევის მეუღლეზე. ევგენიას უარყოფილი სიყვარული შურისძიებად ეცვლება და ზელინოვის დამცირებას შეეცდება. ევგენია დიდ ფუფუნებაში სცხოვრობს, თუმცა ზასტრაჟევსკი მისი გულისათვის ვალებში ჩაფლული, მაგრამ საყვარელ არსებას არც კი აგრძნობინებს თავის უმწეო მდგომარეობას.

ევგენია დრო და დრო დიდძალ ფულს ასესხებინებს თავის მეუღლეს კასირ ზელენსკისაგან ვექსილ[illegible] ამ სახით კასიდან 97 ათასი [illegible] გატანილი. ბანკის ასეთი მდგომარეობა შემთხვევით გამომჟღავნდება, როდესაც ბანკის კლიენტი ვინმე ივანოვი თვალსაჩინო თანხის გატანას მოითხოვს, კასაში კი იმდენი ნაღდი ფული აღარ არის. ზელენსკი შეკრთება, დაიბნევა. ამაზე ივანოვი აურზაურს ასტეხს (ეს სცენის გარედ ხდება), ქალაქში ბანკის გაკოტრებაზე მითქმა-მოთქმა გახშირდება, გუბერნატორი საგანგებო მოხელესა ჰგზავნის საქმის გამოსარკვევად. აქ საქმეში ერევა გაქნილი და გაიძვერა ივანე ტიურინინოვი (ზარდალიშვილი), რომელმაც შეირთო ზასტრაჟევსკის ასული ოლღა (ქ-ნი ტ. აბაშიძე). ოლღას მამას (აბაშიძე) ზელინოვის კასიდან მოაპარვინებს 97 ათას მანეთის ვექსილებს, რომელიც ზასტრაჟევსკის სხვა და სხვა დროს მიუცია ზელინოვისათვის, და ცეცხლში დასწვავს.

ბანკის გამგეობის წევრნი იკრიფებიან ზასტრაჟევსკის სახლში, აქვეა გუბერნატორის საგანგებო მოხელე (აბდუშელიშვილი). ზელინოვს პასუხსა სთხოვენ დანაკლის ფულის თაობაზე. იგი დარწმუნებით გავა ბანკის კანტორაში, რომ ვექსილები შემოიტანოს, მაგრამ გადარეულივით შემოვარდება, ვექსილები მოუპარავთო. სიმართლეს არ უჯერებენ და გულწასული დაეცემა იატაკზე.

ზასტრაჟევსკი სულიერ ტანჯვას განიცდის, რომ უდანაშაულო კაცი სამართალში მისცა. ბოლოს ზელინოვის დედისაგან იმასაც შეიტყობს, რომ მის სათაყვანო ევგენიას ზელინოვი უყვარდა და შურის საძიებლად მოაწყო ეს საქმე. ზასტრაჟევსკი ბანკის გამგეობას და გუბერნატორის საგანგებო მოხელეს გამოუტყდება: ეს ფული მე მოვიპარე კასიდანაო. სულიერ ღელვას ვეღარ იტანს და უსულოდ ეცემა იატაკზე.

ეს არის მეტად მოკლე შინაარსი ამ დრამის ხლართისა.

ხუთშაბათს ეს პიესა საერთოდ კარგად ითამაშეს. განსაკუთრებით კარგი იყო ვლ. მესხიშვილი, ვ. აბაშიძე, ვ. შალიკაშვილი, ქ-ნი დავითაშვილი და ქ-ნ ტ. აბაშიძე.

ბ-ნმა ზარდალიშვილმა შესაფერად ვერ გაატარა გაიძვერა ტიურინინოვის როლი. კარგი იყო ქ-ნი ჯავახიშვილი განსაკუთრებით უკანასკნელ სურათში. ქ-ნ ლოლუას შემოქმედის ელფერი აკლდა.

ხალხი ბლომად დაესწრო. მობენეფისეს მიართვეს ვერცხლის ფიალა და ბევრჯელ გამოიწვიეს.

წლევანდელ სეზონში მობენეფისენი თითქმის განგებ ისეთ პიესებს ირჩევენ, სადაც თვითონ უმთავრესი როლი არა აქვთ.

ტეხნიკურის მხრივ პიესა კარგად იყო დადგმული. **ნ.**

## შემოწირულობა.

ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს გამგეობას შესწირეს: კნ. მ. დ. შერვაშიძემ 24 ცა-

---

აზრი, წევრისაგან მმართველობაში შესატანი, პირველად თავჯდომარეს უნდა მოჰხსენდეს ხოლმე. გუშინდლამდე ამისი არა მცოდნია რა და არცა არაფერი ეტყობა, რომ ჩემ ამხანაგს მოეხსენებოდეს ამავე თვის 3-დის, როდესაც უფალს წევრს პირდაპირ შეუტანია სხდომაში. ჯერ რომ მე მენახა, მე პირდაპირ ვეტყოდი იაკობ სვიმონიჩს: წევრს ყოველთვის აქვს ნება რომ სხდომას, ამრიგათ, თავისი საკუთარი ან თავისი წინადადება მოახსენოს (და არა წინდაუდოს—ეს არ ითქმის) განსახილავად და არა **სისრულეში მოსაყვანად.** ეს უკანასკნელი გამოთქმა ბძანებითია და არა მოხსენებითი" და სხვა. ამგვარი დიდაქტიური ხასიათი აქვს დიმიტრის ყველა წერილებს და მოხსენებებს გამგეობის მოქმედების შესახებ. წერა ბევრი უხდებოდა, რადგან საქმეების გამო ქუთაისში იმყოფებოდა. საქმეებს ჯერ იონა მეუნარგია, მერე ალ. სარაჯიშვილი იქ უგზავნიდნენ და იქიდამ ჰგზავნიდა თავის რეზოლუციებს.

აი რამდენიმე ნიმუში დიმიტრის შენიშვნებისა: საზოგადოებამ გამოსცა წიგნაკი „წითელი ფანარი". ამის შესახებ დიმიტრი იწერებოდა. „ჩვენი სასოფლო სკოლებისათვის საზოგადოების ხარჯით დაბეჭდილი წიგნი და, ისიც პირველი წიგნი, ამისთანა უნდა იყოს? მმართველობის გადაწყვეტილებას მე პატივი უნდა ვსცე, ეკუთვნის პატივი თუ არა. ამის განუკითხავად და ჩემის მხრით ხელი მოვუმართო ალსრულებაში, რაც უნდა ეს ალსრულება საზარალო იყოს საქმისათვის სულით ვიტანჯები, რომ ასე მკვახე ლაპარაკი მიხდება ჩვენს მმართველობასთან და მმართველობის წევრნი კი უფრო და უფრო განზე იწევენ... მაინც და მაინც, თუ არ მოიშლით—დაბეჭდინეთ, მაგრამ—უკანასკნელი კორექტურა ჩემი იყოს და აქ მეგზავნებოდეს ფურცლები, რომ შეუსაბამო რამ ლექსი, ან არეულ-დარეული მართლ-წერა არ შემოგვეპაროს. ახალ მოსწავლეთათვის საკითხავს წიგნში—შეცდომა არ უნდა იყოს რა". წარდგენილ ანგარიშის შესახებ დიმიტრი აღნიშნავს: „მმართველობაში არის 12 და არა 13 წევრი. პირველად იყვნენ ამორჩეულნი 6 და არა 7. ანგარიშის რედაქციას უთუოდ თავმჯდომარეც წევრად მიაჩნია. ეს ჩვენი წესდებულების 128-ის სიტყვით, შეცდომაა. აგრეთვე შეცდომაა 19 §-ის მუხლის მიხედვით — საზოგადოების სეკრეტრად წოდება მმართველ[illegible], სეკრეტრისა". სხვა ამგვარსავე საპასუხო ქაღალდში ვპოვებთ უფრო სასტიკ შენიშვნებს. „5 მარტის ჟურნალს თავს აწერია: პროტოკოლი, აგრეთვე 5 აპრილისას და 4 იანვრისას; 15 მარტისას აწერია ოქმი. არც ერთი ამ სახელთაგანი კი არ ეკუთვნის ამ ქაღალდებს; ამიტომ რომ **პროტოკოლი** საკუთრად ერქმევა იმ ქაღალდს, რომელშიაც ჩაიწერება რაც რამ ერთ საქმეზედ მოსმენილა, ნალაპარაკევი და წანაკითხი. **ოქმი** ეწოდება იმ ქაღალდს, რომლითაც მიენიჭება ვისმე რამე, ან უწყალობება"... წესდებით გამგეობის სხდომები ყოველთვის 15-ის შემდეგ პირველ შაბათს უნდა მოხდეს. ჟურნალებში კი დიმიტრი ყიფიანი სხვას ხედავს, სხდომები სხვა და სხვა დროს იმართება. ამას იწუნებს. ახლა კავთიხევის სკოლას ოც თუმანს აძლევენო. არ კი სჩანს „რატომ, რისთვის, ვისი თხოვნით და როგორი შემოწმებით—ამას ნურავინ იკითხავსო..." „როგორც ამ ჟურნალში ანგარიში არის მოყვანილი შემოსავლისა და გასავლისა, განაგრძობს დიმ. ყიფიანი თავის შენიშვნებს—ამისთანა ანგარიშს მდაბიურად ეწოდება სხარტული ანგარიში: ამდენი უნდა შემოვიდეს და ამდენი დაიხარჯოსო, მაგრამ საიდან, რაზედ, რისთვის, რა მიზეზით—ამისი პასუხი რომ სრულებით არა იყოს რა, ამას იმავე მდაბიურის ენით ეწოდება—ხუმრობა,—ანუ სასაცილოდ აგდება საქმისა. ნეტავი ვიცოდე, ვის უნდა გაებედებოდეს ამისთანა ყოვლითური უთავბოლო ანგარიშის მირთმევა? რატომ უნდა იყოს საქვეყნო საქმე ასე აბუებული... ან კიდევ: „მმართველობამ ტფილისში და ბათომში სკოლების გახსნა გადასწყვიტა. და არც სად სამოსწავლო წიგნები ეგულება, არც სად მასწავლებელნი პირნი და არც იმდენი ფული, რომ მათს შენახვაზე რამდენსამე წელიწადს დაიმედებულნი ვიქნებოდეთ"... „ერთი შენიშვნა კიდევ, საკუთრად რედაქციის შესახებ. ერთგან არის ნათქვამი—კანდიდატებთაგან, მეორეგან—კანდიდატებნი. ორივე ეს სიტყვა ქართული ენის კანონების საწინააღმდეგოა. ან უნდა ითქმოდეს კანდიდატნი, კანდიდატთაგან,—ან—კანდიდატები, კანდიდატებისაგან. ამ ორივე ფორმის ერთად შეთხზვა ქართულ სმენას ეჩოთირება". დასასრულ დიმ. ყიფიანი სთხოვს გამგეობას წარუდგინოს განსახილველად საზოგადო კრებას მის მიერ შემუშავებული საქმის წარმოების წესები. ერთხელ მდივანთან ერთად წ. კ. სკოლა დაუთვალიერებია დიმიტრის. „დრო იყო შუადღეს უკან მეორის ნახევარი, სკოლაში შევედით, მოწაფენი წინ შემოგვხვდნენ, იმ დროს სწავლა გათავებულიყო და დაეთხოვნათ. რომ მივედით, კლასის ოთახი დაკეტილი დაგვხვდა. როდესაც გაგვიღეს და შევედით, ვნახეთ, რომ თორმეტიოდე მოწაფენი ისევ თავ თავისს ადგილას ისხდნენ დაკეტილში. უფ. მასწავლებელმა აგვიხსნა: გვიან მოვიდნენ და ცოტახნით დავამწყვდიეთო! ეს ხომ გულის წყრომა არის,—ვიზედ? შვიდისა და რვა წლის ბავშვებზედ!?? ეს გულის წყრომა რას უნდა მიეწერებოდეს არ ვიცი. პედაგოგიის მოთხოვნილება რა და რა არის, არ ვიცით, თუ ისევ ჩვენს ძველებურ ანდაზას ვადგივართ, შიში შეიქმს სიყვარულსაო"...

მკითხველს იქნება გაუკვირდეს გაეცნობა რა ამ სტილის მიწერ-მოწერას. კილო მართლაც მკვახეა, მაგრამ სრულიად შესაფერი დიმიტრის ბრძანებლობითი ხასიათისა. ხოლო საქმე ის არის, რომ ყოველი ჩვენი საზოგადო საქმე რაღაც უთავბოლო და შეუსაბამოა ხოლმე. საქმიანობა არ ემარჯვებოდა ქართველ ინტელიგენტს, რომელსაც ენაც კი დავიწყებული აქვს და რიგიანად თავისი აზრის გამოსახვა არ შეუძლიან. გარდა ამისა წ. კ. საზოგადოების საქმე, დღიდამ დაარსებისა, მკვიდრ ნიადაგზე არ იყო დაფუძნებული. ფართო გეგმა ჰქონდა, ბევრის გაკეთება სწადდათ, საშუალება და სალსარი კი მცირე იყო. პირველ ხანში ილია ჭავჭავაძის მეცადინეობით ტფილისის ბანკმა მისცა 13.000 მანეთი, ქუთაისის ბანკმაც 3000 მანეთი. ეს ფულიც მალე დაიხარჯა. და მარტოოდენ საწევრო გადასახადით ხარჯებს ვერ აუდიოდნენ. ასე იყო წინად, თითქმის ასევეა საქმე დღესაც. ახლანდელი გამგეობის თავმჯდომარე ბ. გიორგი ყაზბეგი თავის მოხსენებაში ბძანებს: „ძირითადი ნაკლი და შეცდომა წ. კ. საზოგადოების პირველს ნაბიჯისა ტრადიციულ ავადმყოფობად გადაექცა ამ საზოგადოებას და ამ ავადმყოფობასთან ბრძოლაში განვლო ოცდაათი წელიწადი მისი სიცოცხლისა. საქმე რთულდებოდა იმითი, რომ ჩვენს სურვილებს და ოცნებას არ შეუთანასწორებდით ხოლმე ჩვენს მატერიალურ სახსრებსო".

ეს იქნება ასეა, მაგრამ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრების მსვლელობას სხვა გზა არ ჰქონდა. ხშირად შეცდომის და ნაკლულევანების დანახვა ასწორებს საქმეს. უშეცდომოდ კი ჩვენისთანა საზოგადოებაში, ისიც იმ ხანაში, არა საქმე არ გაკეთდებოდა. თუ სურვილი უსწრებს ჩვენს ობიექტიურ ძალას და შეძლებულებას, ეს კიდევ დიდი საფრთხე არ არის. პირ-იქით, მეტი უბედურება იქნებოდა, სალსარი რომ გვქონოდა, ხოლო სურვილი და ოცნება არა. სურვილი შეჰქმნის სალსარს. ეს იმედი ჰქონოდათ საქმის მოთავეებს. ეს იმედი ჰქონდა თვით დიმიტრი ყიფიანსაც, რომელიც ასე ხშირად ცივ წყალს გადასხამდა ხოლმე ჯერ კიდევ საქმეებში გამოუცდელ თავის თანამშრომლებს. დიმიტრი ყიფიანს ღრმა რწმენა ჰქონდა, რომ სწავლა განათლება გამოაბრუნებს ჩვენს საქმეს და რომ სწავლა ის ღერძია, რომლითაც შეიძლება ცხოვრების ძირითადი განახლება. სენაკის სკოლის გახსნის დღეს, დიმიტრი ამბობდა, სხვათა შორის: „ის ხერხია მეცნიერება, რომლითაც კაცი განუზომელს ჰზომავს, განუვალს-განვლის, ზღვის ღელვა-ფურთხვას არაფრად აგდებს; მზის სინათლეს იგდებს ხელში და თვის ნებისად ამუშავებს" აი ასეთი იმედებით იყო გამსჭვალული წ. კ. ქ. შ. გამავრცელებელ საზოგადოების პირველი თავჯდომარე. ესევე აზრი აღფრთოვანებდა ამ საზოგადოების დანარჩენ მოღვაწეთ, რომლითაც გულმხურვალე თავჯდომარე ასე ხშირად და ასე მკვახედ ჰკიცხავდა ათასგვარ ფორმალურ ხასიათის შეცდომათა ჩადენისათვის. წესიერ საქმიანობის დამყარებისათვის იქნებ ესეც დიდად საჭირო იყო იმ ხანებში.

**არჩილ ჯორჯაძე.**

(შემდეგი იქნება)

ლი დანა-ჩანგალი, კნ. ან. ივ. ბარათაშვილმა 24 ც. დანა-ჩანგალი, 3 ემალის ქვაბი, სამზარეულოს მაგიდა, 2 გრძელი სკამი, 2 ლამფა, 2 საანგარიშო წიგნი, 44 არშ. ტილო, ქალალდის ხელსახოცები; ღენერალ №№ 12 ცალ. თეფში. კნ. მ. ქ. ამირაჯიბმა კლიონკა. კნ. მ. ნ. ორბელიანმა 1 ქვაბი, 1 მაგიდა, კალათი პურის, 1 ფოდნოსი ჩოტკით. კნ. მ. ი. წერეთელმა 2 ფ. კომპოსტო. კნ. დ. ე. მუხრანსკიმ 3 ფუთი კომპოსტო. თ დ ალ. სუმბათაშვილმა 6 ბატკანი. კნ. მ. ვ. ორბელიანმა 2 ნახ. ფ. კომპოსტო. 3 ფ. კარტოფილი, 5 ფ. ლობიო და 1 ფ. ნიგოზი. კნ. ა. გ. ერისთავმა 1 ფ. კომპოსტო, 1 ფ. კარტოფილი, 1 ფ. ლობიო. მ. მ. ლოლობერიძემ 2 ტომარა ფქვილი. კნ. ანნა ნ. ბეგთაბეგოვმა 1 ფ. ბრინჯი. ქ-ნ ეკ. რ. გაბაშვილმა 25 გირ. კაკალი.

ყველა ამ პირთ გამგეობა დიდ მადლობას უცხადებს.

იმავე გამგეობამ მიიღო ქ-ნ მ. დ. აგლაძისაგან შეგროვილი იმავე სასადილოს სასარგებლოდ 30 მ. 61 კ. შემოწირული სხვა და სხვა პირთაგან: მ. აგლაძემ 50 კ., ან. მერკვილაძემ 55 კ., თოფურიძემ 35 კაპ., ნ. გლუშჩაკიმ 20 კ., ვ. გოპიამ 25 კ., ს. ვენგერტ. 15 კ., ნ. კელორენცკიმ 15 კ., ცივინსკაიამ 10 კ., მარტინინი 20 კ., №№ 10 კ., №№ 15 კ., № 15 კ., სხერეუმ 10 კ., №№ 20 კ., დოცენი 10 კ., № 25 კ., პელინდრი 10 კ., პენკოვ-კრეცკოვიმ 10 კ., №№ 15 კ., №№ 15 კ., კოპაიამ 10 კ., რაკოვსკიმ 15 კ. № 5 კ., ხოპოტოვიმ 50 კ., X 25 კ., №№ 50 კ., კასრაძემ 25 კ., ათაბეგოვმა 50 კ., განარევამ 50 კ., გულირავამ 20 კ., №№ 20 კ., თუხარელმა 25 კ., გველესიანმა 25 კ., გერცავამ 25 კ., ხახანოვმა 20 კ., რ. თოხაძისამ 20 კ., ყიფშიძემ 25 კ., თევდორიანმა 25 კ., X 20 კ., №№ 50 კ., თავდგირიძემ 2 მან., № 1 მ., ჭელევიძემ 50 კ., ნაკიმ 50 კ., X 50 კ., X ყ. 1 მ., ზურაბოვმა 1 მ., Д. А. 50 კაპ., ა. ოდიშელიმ 55 კ., გ. სარაჯევმა 1 მ., ი. ალერწინმა 50 კ., კოლენიძემ 10 კ., ვ. კ. 20 კ., პ. ს. 10 კ., იჩუამ 15 კ., X 10 კ., დ. გელაძემ 50 კ., თ. ჟურულმა 50 კ., დეკაპრილოვიჩმა 50 კ., დემიდოვმა 15 კ., ა. 1 მ., გონიევმა 5 კ., ემ. ალძენდონცერი 50 კ., დათიევმა 50 კ., დემეტრაშვილმა 20 კ., დ. 50 კ., დაშინოვიჩმა 15 კ., კენიმ 25 კ., X 10 კ., ი. ფანიაშვილმა 40 კ., განიელმა 40 კ., ი. გაბეჟიძემ 50 კ., დევაძემ 50 კ., მ. რ. 26 კ., ცხომელიძემ 30 კ., ს. ხორბალაძემ 20 კ., დ. 30 კ., X 20 კ., ერმალოზ კველიშვილმა 30 კ., ს. ძაშიძემ 10 კ., ნ. ბოგომოლოვმა 20 კ., გეორგობიანმა 20 კ., ხირსელმა 20 კ., დოროჟნოვმა ნახევარი დუჟ. ხელსახოცი და ნახევარ. დუჟ. სამზარეულოს ტილო, გიორგობიანმა 20 კ., გენიამ 20 კ.

ყველა ზემოხსენებულ პირთ უღრმეს მადლობას სწირავს **გამგეობა.**

# ანგარიში

ქართულ საღამოსი, რომელიც 24 ნოემბერს 1912 წელს გაიმართა დონის როსტოვში ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ. საღამოს პასუხისმგებელ გამგედ იყო ადგილობრივ ოლქის წევრი დიმიტრი ჩაჩიკაშვილი.

| **შემოსავალი.** | მ. კ. |
|---|---|
| 1. ბილეთების გაყიდვით | 894—80 |
| 2. პრემიები . . . . . | 85— |
| 3. პროგრამებ. გაყიდვით | 36—22 |
| 4. კიოსკების შემოსავალი | 361—86 |
| სულ . . . . | 1377—88 |

| **გასავალი:** | |
|---|---|
| 1. ბინის ქირა და სცენის მოწყობა . . . . . | 155—88 |
| 2. აფიშების, განცხადების პროგრამების . . . . | 76—05 |
| 3 მარკების | 45—09 |
| 4 კაბარეს და „განდეგილის“ მოწყობა . . . . . | 26—69 |
| 5 კონცერტის. ორკესტრის და დუდუკის ფასი . | 379—11 |
| 6 ტანისამოსი ადგილობრივ | 34—09 |
| 7 დარბაზის მოწყობა . | 32—51 |
| 8 ყვავილები, ღვინო, ხილი შამპანიური და სხვა კიოსკებისთვის . . | 181—45 |
| 9. წვრილმანი | 45—86 |
| 10. ტანისამოსი ტფილისიდან | 57—84 |
| 11. ფულის გამოსაგზანი . | 1—15 |
| სულ . . . | 1035—72 |

დარჩა წმინდა შემოსავალი 342 მ. 16 კ.

პრემიები მიღებულ იქმნა: სტ. ელიაძისაგან 50 მან., პოლიცმეისტრისაგან-10 მან., ჯ. ბ. ბალუგიანისაგან-10 მან., ი. ჩარექაშვილისაგან-5 მან., ბ-ნ სანგურსკისაგან-2 მან., ბ-ნ სეგალისაგან-2 მან. ბ-ნ ფალკნერისაგან-2 მან., უცნობისაგან-4 მან.

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა ულრმეს მადლობას სწირავს ყველა შემომწირველს როსტოვის ქართველობას ხოლო განსაკუთრებით საღამოს გამგეს დიმიტრი ჩაჩიკაშვილს, სვიმონ საკაშვილს და ყველა იმათ, ვინც კი ხელი შეუწყო საღამოს წარმატებას.

## წერ. რედ. მიმართ

გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში.

მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტთან არსებულ სათვისტომოს კასიდან რამდენიმე პირმა წაიღო ფული მოკლე ვადიან (ერთი თვით) სესხად. მას შემდეგ გავიდა არა თუ თვე, წლებიც, მაგრამ ეს პირები ყურებსაც არ იბერტყავენ. ავიწყდებათ პატივცემულ მოვალეებს, რომ მათ მიერ კასიდან წაღებული ფული, შეადგენს სათვისტომოს მთელ ქონებას და ავლადიდებას. მოვაგონებთ, თუ 20 დღის განმავლობაში, დღიდან ამ წერილის დაბეჭდვისა, მოვალეები სათვისტომოს ფულს არ დაუბრუნებენ,—მათი გვარები გაზეთის ფურცლებზე იქნება გამოქვეყნებული.

ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი მისამართით:

Москва комерч. институтъ студ. Ивану Деканосидзе.

სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარე: **მ. ბასილია.**

მდივანი გამგეობისა: **დ. გოგიჩაიშვილი.**

P. S. ვთხოვთ გაზეთ „იმერეთსა“ და „მერცხალს“ ეს განცხადება გადაბეჭდონ.

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.**

# განცხადებანი


ვინც გაციებულია და ჰსურს ფილტვების დასნეულება თავიდან აიცილოს, უნდა მიიღოს ხოლმე

სიროლინ „როშ“.




ისყიდება აფთიაქებსა და ყველა საათფთიაქო მაღაზიაში.

მოიკითხეთ უსათუოდ სიროლინ „როშ“, თავისებურ ქარხნის გასახვევით.

მ. 66839 1629


## მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

**15 ოქტომბრიდან.**

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: სამგზ.-საზარგო № 8,** სად. ს. 26 წ. **ჩქარი № 2,** დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო № 4,** ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ. № 6,** ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი № 106,** საღ. 7 ს. 20 წ.

**ბათომისაკენ: სახ. №№ 107,** დილ. 4 ს 38 წ. **სახ. № 5,** ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ. № 3,** დილ. 9 ს. 50 წ. **სახ. № 4,** საღ. 9 ს 4 წ. **სახ. № 11,** ღამ. 10 ს. 2 წ.

[illegible]


## სასანიტარო ექიმები

**უბნები: 1, 2—ე პ. ფომინა-ოხიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქაციბნთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

0. 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდია, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მაღლაკნის მოედანზე.

**ქირავდება** დიდი სარდაფი, ახლად შეკეთებული, ასვალტ დაგებული, გამოდგება საქონლის შაწყობად, ღვინის სავაჭროდ, ან რესტორანად. რეუტოვისა და ჩერქეზიშვილის ქუჩ. კუთხე, № 20, სახლი რაბინოვიჩისა. 76.

ახლად გაიხსნა

# სამშობიარო თავშესაფარი

**ე. ლ. არშანინისა ღ ს. ს. ხატიევისა**

**ფეხმძიმეთა და მშობიარეთა მიღება** სწარმოებს ყოველ-დღე. არის საზოგადო და ცალკე ოთახებიც. მასსაჟი და ყვავილის აცრა, საბებიო საქმე და დედათა სქესის ავადმყოფთა მიღება და აგრეთვე ძიძათა შემოწმება ყოველ-დღე სწარმოებს დილის 11—12 საათამდე. თავშესაფარის გამგე **ექიმი ა. გ. აველისოვი.**

**ვაგზლის ქუჩა № 12, ბინა 3.** 1018

**დ. ზესტაფონში**

**ექიმი** კბილისა ბაბილინა ცხადაძე

იღებს ავადმყოფებს დღისით 9—3 ს. საღამოთი 5—7 ს. ასათიანის სახლში, საყდართან. 19

# ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დილით:**

**„606“ და „914“**

**11—12 ს. შეშხაპუნება**

**კონსულტატიურად.**

**ღ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ბაგახაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. ხაბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბველისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. ბ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინ; კანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**საღამოთი:**

**მ. გ. ბველისიანცი:** 6—7 საათ.

**ექიმი ქალი გ. ლ. რენიგერ-არეშევისა** 6—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა [illegible] უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის 1004 **დოქტორი ბ. ა. ნ ვასარდიანი.**

# ფეხსაცმელები

**თომა დ. ჯანყარაშვილის**

**მაღაზია-სახელოსნოში.**

მუხრანის ქ. № 2.

ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ.



მეხანიკური ნაწარმოები. 30.

**გონორრეის (სუსუნატის) წინააღმდეგ უახლესი საშუალება:**

**„SALO—პიჩილინ“.**

სწრაფად და არსებითად მოქმედებს და, ექიმთა აზრით, გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფებითა და **ღირს 1 მ. და 1 მ. 80 კ.**

**აგრეთვე კარგად მოქმედებს მეტად გართულებულ და დაძველებულ ავადმყოფობის დროს და სულ მოკლე ხანში სპობს უწყვეტელ მდინარეობას.**

დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Б. Конгейма. იგზავნება ფასდადებით. გასაგზანი ფოსტის ტარიფის მიხედვით. იშოვება საათფთიაქო საქონლის კავკასიის საზოგადოების სავაჭროში.

Метцль 2 238. 1038

მუხრანის კერძო

# სამკურნალო

**საწოლი კრაოტებით.**

19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, **ტელეფ. № 370.**

დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ ექიმების მიერ:

| | | **დილით:** | |
|---|---|---|---|
| შინაგანი სნეულებათა და მოზრდილ. | **სპეკტიორი გ. მ.** . . . | 8½—9½ | ს. |
| | **ბაზაზოვი ა. ა.** . . . | 10—11 | ს. |
| | **იაშვილი ა. ლ.** . . . | 11—12 | ს. |
| | **აბაკელია ი. კ.** . . . | 12—1 | ს. |
| | **ლოლობერიძე გ. მ.** . . . | 12½—1½ | ს. |
| საქირურგო ქირურ. სნეულებანი: | **გრიგორიანი ა. ი.** . . . | 11—12 | ს. |
| | **მელკონიანი გ. ა.** . . . | 12—1 | ს. |
| | **ჯაში ი. ი.** . . . | 9½—10½ | ს. |
| საშარდო და ვენერიულ. სნეულ. | **გრიგორიანი ა. ი.** . . . | 11—12 | ს. |
| სნეულებ. საშვილოს. და ბავშვ. | **ექიმი-ქალი საყვარელიძე დ. ზ.** | 11—12 | ს. |
| | **ლოლობერიძე** . . . | 12½—1½ | ს. |
| სნეულებ. ყურ., ყელის და ცხვ. | **შტრეიხერი მ. ა.** . . . | 12 12½ | ს. |
| ცუდი სნეულ. და კანის სნეულებ. | **შაკელნიკოვი გ. ი.** . . . | 1½—2½ | ს. |

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“,** ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1581

# გამოსულია და იყიდება

**ი. გედევანიშვილის პიესა**

**„მამცემი“**

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

**ვ. ლისიციანისა და ამხ. გამსესხებელი განყოფილება**

# გადაიდა

საკუთარ სახლში, ლორისმელიქოვის ქუჩაზე № 8, მუზეუმის მისახვევის კუთხეში, (ტელეფ. № 770). განყოფილების კლიენტებს ამით ეუწყებათ, რომ აპერაციების გაფართოვების გამო 18 იანვრიდან სამუშაო საათები მოვუმატეთ ე. ი. სესხის გაცემა და დაგირავებულ ნივთების დახსნა იწარმოებს დილის 9½ 1½ საათამდე; სხვა აპერაციები კი ნაშუადღევის საათამდე. 542

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება ჩვენი პოეტების პოემები და ლექსები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| აბაშიძე გრ. . . . . . . . . ფ. | 60 კ. | თამარიანი, გუგუნავასი . . . . | 50 „ |
| ბარათაშვილი ნ. . . . . . . „ | 40 „ | ორბელიანი ვახტ. . . . . . . . | 60 „ |
| ბესიკი. სიტყვ.-კაზმ. საზ. გამ. | 1 მ.— | ორბელიანი გრ. რჩეული ლექს. . . . . . . . | 20 „ |
| გურამიშვილი დ. „დავითიანი“ | 1 მ.— | სილოვანის ლექსები 1878—1894. . . | 50 „ |
| გურიელი მამია . . . . . . . | 1 მ.— | ცისკარი. რუხაძის ლექსები . . | 25 „ |
| განდეგილის ლექსებ. . . . . — | 50 „ | შანშიაშვილი. შვების თავადი . | 60 „ |
| დუტუ მეგრელი წ. I ლექსებ. | 70 „ | ჭავჭავაძე ალ. ლექსები . . . . | 30 „ |
| ერისთავი რაფ. წ. I . . . . . | 1 მ.— | ჭავჭავაძე ილ. . . . . . . . . . | 27 „ |
| ევდოშვილი, ლექსები და პოემები . . . . | 60 „ | წერეთელი აკაკი ტ. I . . . . | 1 მ.— |
| ვაჟა-ფშაველა . . . . . . . . | 1 მ.— | — — ტ. II . . . . | 1 მ.— |
| ვეფხის ტყაოსანი ქართველიშვილის გამოც. 10 მ. | 65 „ | — —ჩემი ნაწერ. ტ. I | 75 „ |
| „ „ ქ. შ. წ. კ. ს. გამ. | 60 „ | — — იგავ-არაკნი . | 50 „ |

**ადრესი:** Тифлисъ О-ва распр. грамотности сред. гр. нас. 1141

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,

**ქვირითის** (კეტოვ.) **ხიზილალა,**

თევზის მრეწველნი

# მმ. ძმველოვები.

**პუშკინის ქ., საკუთარი ხ. № 9.**

**ტელეფონი № 712.**

1131

გამოსული ქერჩის **სელიოტკები,** და ყოველგვარი **კონსერვები.**

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თარი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი

**შავი ხიზილალა**

**სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი**

**ნ. ვ. აზრაპიანის**

# საბუღალტრო კურსები

(არსებობს 1895 წ.)

**ავტორი „ბუღჰალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწ. სამინისტროს მიერ.**

ორივე სქესისათვის **კურსი 4 თვისაა** ყოველ-დღიური მეცადინეობით.

სწავლა იწყება 15 იანვრიდან, 1913 წ. კურსებზე ასწავლიან ბუღჰალტერიისა ღ სხვა სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვა ღ სხვა დარგიდან, მაზუთისა ღ ნავთის მრეწველობაზე—ყოველნაირ წესით. დახელოვნება ორმაგ იტალიურ სისტემაში. კომერც. არითმეტიკა, კომერც. მიწერ-მოწერა, სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება, პოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოთქზე, ლამაზი წერვა, ხელის გასწორება, მსურველთათვის **უცხო ენები,** სტენოგრაფია ღ რემინგტონი. **მასწავლებელნი**—სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, პრაქტიკულად და თეორეტიულად ყოველ ცალკე საგანში მომზადებულნი. **ატესტატები** სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ ეძლევათ. თხოვნები მიიღება ყოველ-დღე 9—11 საათამდე და 5—7 საათამდე.

ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსულ ენისა და ანგარიშისა.

წერილობით და პირადად მიმართეთ კურსების დამაარსებელს: ნიკოლოზის ქ., 22, საკუთ. სახლი. **ტელეფ. № 744.** (თ. 1644. 9)